გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№28 (1718) 5 — 10 სექტემბერი ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

„მე მოვკალი ის ბოზი"

სიძე-სიდედრის სასიყვარულო ურთიერთობა და ქმრის სისხლიანი შურისძიება

რატომ ჭამენ ოპოზიციონერები ერთმანეთს

როდის და ვინ უშველის ქვეყანას

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

მეუღლის სახელზე რეგისტრირებული ბინა პარიზის გარეუბანში — რა ქონებას ფლობს ექსპრემიერი

გიორგი გახარიას ქონებრივი დეკლარაცია

ბიძინა ივანიშვილი: „ნებისმიერ დროს მზად უნდა ვიყოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღსადგენად"

„საქართველოში ვერავინ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ ქართველი დედის დედობა და ქართველი მამის მამობა!"

საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმება სექტემბრის ბოლოს შევა ძალაში

„საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ“ შეთანხმება მიმდინარე წლის 29 სექტემბრიდან შევა ძალაში.

შეთანხმების დეტალებსა და ამოქმედების ვადებთან დაკავშირებით, ოფიციალური ინფორმაცია ესპანეთის სამეფოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდა (https://www.boe.es/diario_boe/txt.php?id=BOE-A-2024-17651).

შეთანხმების ამოქმედების შემდგომ, მხარეთა მიერ გაცემული მოქმედი მართვის მოწმობის მფლობელები, თეორიული ან პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების გარეშე შეძლებენ მიიღონ თანაბარი ძალის მქონე მართვის მოწმობა იმ სახელმწიფოში, რომელიც მათ კანონიერ საცხოვრებელს წარმოადგენს.

შეთანხმებით განსაზღვრულია მართვის მოწმობის კლასები, რომლებიც შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ დაექვემდებარებიან გადაცვლას, კერძოდ, AM, A1, A2, A, B, B+E კლასის მართვის მოწმობების გადაცვლა თეორიული ან პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების გარეშე იქნება შესაძლებელი, ხოლო C1, C1+E, C, C+E, D1, D1+E, D და D+E კლასის მართვის მოწმობების გადაცვლისათვის, განმცხადებლებს მოუწევთ ჩააბარონ მართვის მოწმობის გამოცდა ზოგადი მოძრაობისთვის განკუთვნილ ღია გზებზე, იმ სატრანსპორტო საშუალების ან მისაბმელიანი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით, რომელთა მართვაც აღნიშნული მოწმობებით იქნება ნებადართული.

„საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ“ შეთანხმებას მიმდინარე წლის აპრილში, შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის ესპანეთის სამეფოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში მოეწერა ხელი.

პოლიციამ შიდა ქართლში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული ე.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ხოლო მისი ძმა, 1959 წელს დაბადებული ე.მ. ამავე დანაშაულის ჩადენაში დახმარების ფაქტზე დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ქარელის მუნიციპალიტეტში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1996 წელს დაბადებულ ნ.ჯ.-ს განზრახ მკვლელობის მიზნით, თოკით ხელები შეუკრეს და გაგუდეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები ცხელ კვალზე დააკავეს.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 25-108-ე მუხლებით მიმდინარეობს.

პოლიციამ კახეთში მომხდარი სამი ადამიანის განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ზ.ზ., სამი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სამი პირი: მეუღლე – 1986 წელს დაბადებული ფ.ტ., თანასოფლელები: 1980 წელს დაბადებული მ.მ. და 1985 წელს დაბადებული რ.კ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ჩატარებული სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ზ.ზ. ცხელ კვალზე ბრალდებულის სახით დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ ქვემო ქართლში დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში დახმარებისა და სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში დახმარების, ასევე სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტებზე სამი პირი დააკავეს.

დაკავებულები არიან: 1990 წელს დაბადებული ნ.ბ., 1993 წელს დაბადებული ტ.ნ. და 1998 წელს დაბადებული რ.ბ.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვარგარეთ მყოფ კრიმინალურ ავტორიტეტებს დიდი ოდენობით თანხების გამოძალვაში ეხმარებოდნენ. დაკავებულები მათი დავალებით, სხვადასხვა დროს, მოქალაქეებს სიცოცხლის მოსპობის, ასევე, ქონების განადგურების მუქარით, დიდი ოდენობით თანხებს სთხოვდნენ, ხოლო უარის მიღების შემდეგ, მოქალაქეების დაშინებას ცდილობდნენ და ქონებას უზიანებდნენ.

ჩატარებულ საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამართალდამცველებმა ნ.ბ., ტ.ნ. და რ.ბ. ბრალდებულის სახით დააკავეს.

მომხდარ ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25 – 181-ე და 187-ე მუხლებით მიმდინარეობს.

რატომ ჭამენ ოპოზიციონერები ერთმანეთს

ნინო დოლიძე

არჩევნები, როგორც იტყვიან, კარსაა მომდგარი, თუმცა საარჩევნო კამპანია, გარდა იმისა, რომ პოლიტიკური სპექტრი მოსახლეობას ხვდება, სხვა არაფერში იგრძნობა ანუ არც პროგრამების „ფრიალია“ და არც დაპირებების. ერთადერთი, ვინც ხალხს რამეს სთავაზობს, მმართველი პარტიაა, ოპოზიციის მთელი პიარკამპანია კი იმაზეა აგებული, რომ 26 ოქტომბერს, ხელისუფლება უნდა შეიცვალოს.

როდის და ვინ უშველის ქვეყანას

ამ ფონზე, არც ოპოზიციის ერთიანობა ჩანს ანუ ალბათ, გახსოვთ, იგივე გაზაფხულსა და ადრიან ზაფხულში ოპოზიცია „ვენებს იხსნიდა“, ჩვენ ერთიანი ძალით უნდა გამოვიდეთ არჩევნებზეო, მაგრამ ეს ერთიანობა შორს, ბუზისტოლადაც არ ჩანს. უფრო მეტიც, „ნაციონალებთან“ მენტალურად ახლოს მყოფი პარტიებიც კი ვერ გაერთიანდნენ, ესე იგი, ერთიანი სია ვერ შექმნეს. ამასობაში კი არენაზე ახალი პარტია - „ჩვენ“ გამოჩნდა, რომელსაც სათავეში ანტისაოკუპაციო მოძრაობის ლიდერი, დავით ქაცარავა უდგას.

სხვათა შორის, ქაცარავა პოლიტიკაში აქამდე არასოდეს ყოფილა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მკვეთრად პროდასავლური ღირებულებების მატარებელია. შესაბამისად, ამომრჩეველი, რომელსაც ევროპა უნდა, მაგრამ არ უნდა ენმ ან რომელიმე არსებული პროდასავლური ყაიდის პარტია, დიდი ალბათობით, ქაცარავასკენ გადაიხრება, თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომ არჩევნებამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი და ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ დროში ახალმა პარტიამ რეიტინგი „აკრიფოს“.

აქვე, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ გარკვეული შეთანხმების მიუხედავად, ოპოციონერები ერთმანეთზე აუგის თქმას არ ერიდებიან. ეს აუგი უმეტესად სამართლიანია. ასე, მაგალითად, პარტიის - „კანონი და სამართლის“ ლიდერი, თაკო ჩარკვიანი სოცქსელში მუდმივად წერს მამუკა ხაზარაძეზე.

„ეს ხაზარაძე არის „ჩინური“ წარმოების ივანიშვილი 2, მე მითქვამს და... ხომ იცით, რომ ისე არ ვიტყვი!

არ გაბედოს, ვინმემ დაწეროს ეს გამანადგურებელი ფრაზა აქ, ჩემს კედელზე - „ახლა ამის დრო არ არის“ თუ რაღაც კრეტინობა.

ახლა არის დრო, ახლა, კიდევ იგივე წრეზე სიარული უნიჭობაა და „სირეგვნე შეუწონარი“, - დაწერა რამდენიმე დღის წინ, სოცქსელში, ჩარკვიანმა.

სხვათა შორის, კულუარებში ოპოზიცია ერთმანეთზე ისეთ რამეებს ამბობს და ჰყვება, ადამიანს თმა ყალყზე დაუდგება.

ზოგადად, ის, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ერთმანეთი გულზე არ ეხატება, ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ გასაკვირი ერთი რამეა:

თუ, როგორც ოპოზიცია ამბობს, 26 ოქტომბერს გადამწყვეტი ბრძოლაა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, საქართველო ევროატლანტიკურ ღირებულებებს ირჩევს თუ ჩრდილოეთურს, მაშინ, საკითხავია, ანტისახელისუფლებო ბანაკის წარმომადგენლები ერთმანეთს რატომ ჯიჯგნიან?

იქნებ, მოვიდა დრო, როცა პოლიტიკაში, მართლაც, სრულიად ახალი ადამიანები მოვიდნენ, ის ადამიანები, რომლებსაც წარსული სუფთა აქვთ და ვინმე ვერც კორუმპირებულობას წამოაძახებს და ვერც იმას, რომ სახელმწიფო სამსახურში მუშაობდნენ, რა დროსაც ნეპოტიზმით იყვნენ გატაცებულნი.

სხვისი არ ვიცი, პირადად მე კი მგონია, რომ ამ ქვეყანას მაშინ ეშველება, როცა ასპარეზზე ე.წ. ჯენზის წარმომადგენლები გამოვლენ, რომელთათვისაც ჩრდილოეთურ სიკეთეებს თავი რომ დავანებოთ, კორუფციაც უცხოა, ნეპოტიზმიც და კიდევ სხვა ბევრი მანკიერება, რომლითაც ჩვენი, დღეს არსებული პოლიტიკური ელიტაა დაავადებული.

ისე, ზოგს შეიძლება, ახალი თობა არ მოსწონს და აკრიტიკებს, როგორ აცვიათ, როგორ მეტყველებენ, ან როგორ მუსიკას უსმენენო, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ანუ მამათა და შვილთა ბრძლა ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება, მაგრამ ახლა, იმის მტკიცება, რომ დღევანდელი ახალგაზრდების იმედი ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს, წმინდა წყლის მანიპულაციაა.

დიახ, ახალი თობა განათლებულიც არის, ლამაზიც, ფერადიც, მორწმუნეც და რაც მთავარია, პატრიოტიც.

დიახ, ამ ახალგაზრდებმა იციან, როგორ უნდა აშენონ ახალი, მომავლის სახელმწიფო, სახელმწიფო, სადაც მხოლოდ ცალკეულების კი არა, ყველას უფლება იქნება დაცული და სადაც ნებისმიერი ადამიანი წარმატებას ვინმეს დახმარებით კი არა, საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობებით მიაღწევს.

ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს სწორედ ეს ეშლება ანუ მათ, რომლებიც თავს პოლიტიკოსებად მიიჩნევენ და მთელი ცხვრება პოლიტიკაში არიან, ჰგონიათ, რომ ახალგაზრდებმა არაფერი იციან და ჭკუა მხოლოდ თავად მოეკითხებათ. არადა, აბა, მოდით, ახალგაზრდებს ვკითხოთ, მოსწონთ თუ არა იგივე ოპოზიცია?

ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანი არ იქნება, მაგრამ უმეტესობა იტყვის, რომ ოპოზიციაც შესაცვლელია, რადგან საზოგადოება, თუნდაც ოპოზიციურ ველზე ერთი და იმავე სახეების ყურებით დაიღალა, სახეების, რომლებიც ხან ერთ პარტიაში არიან, ხან - მეორეში, ხან ერთ იდეოლოგიას ლობირებენ, ხან - მეორეს.

ზოგადად, ამბობენ, რომ პოლიტიკა ბინძურია, მაგრამ სინამდვილეში, პოლიტიკა კი არ არის ბინძური, არამედ, ადამიანები აბინძურებენ, ის ადამიანები, რომელთაც მიდრეკილება სიბინძურისკენ აქვთ.

აქვე, ისიც გასაგებია, რომ პოლიტიკაში მუდმივი მეგობრები და მტრები არ არსებობენ, მაგრამ როგორ გავიგოთ ის, რაც, მაგალითად, ხატია დეკანოიძემ გააკეთა? ესე იგი, რამდენიმე თვის წინ, ნაცმოძრაობა დატოვა იმის გამო, რომ იქ ოლიგარქიული სისტემა მყარდებოდა დავით კეზერაშვილის სასარგებლოდ, ახლა კი ისევ უკან მიბრუნდა ანუ როდის იყო დეკანოიძე გულწრფელი, როცა პარტიულ ოლიგარქიას გმობდა, თუ ახლა, როცა უკან დაბრუნდა?! რა, კეზერაშვილი აღარ არის ოლოგარქი, თუ ყოფილ მმართველ პარტიაზე მისი გავლენები შესუსტდა?

ერთი სიტყვით, ასეთი „ტრიუკები“ ყველაზე მეტად ისევ ოპოზიციას აზიანებს. არადა, ისიც ფაქტია, რომ ოპოზიცია, ამ სიტყვის კლასიკური და ნამდვილი გაგებით, ამ ქვეყნის მარადიული პრობლემაა...

ბიძინა ივანიშვილი: „ნებისმიერ დროს მზად უნდა ვიყოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღსადგენად“

„საქართველოში ვერავინ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ ქართველი დედის დედობა და ქართველი მამის მამობა!“

„ქართული ოცნება“ საარჩევნო კამპანიას განაგრძობს. ამჯერად, გთავაზობთ მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომელიც ოზურგეთში, მოსახლეობიასთან შეხვედრაზე გააკეთა:

„მოგესალმებით, გურულებო!

მივესალმები ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში მცხოვრებ, ნათელი გონების, ენამოსწრებულ, სტუმართმოყვარე, ღირსეულ და თავისუფალ ხალხს!

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში გურულებს რომ განსაკუთრებული როლი გაქვთ შესრულებული, ეს არავის ესწავლება. თქვენი და თქვენი წინაპრების პოლიტიკური განსწავლულობა და ალღო მრავალჯერ დამტკიცებულა.

თამამად ვიტყვი, რომ სწორედ ამ კუთხის შვილები ხართ ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური დასაყრდენი.

ასე იყო წარსულშიც, როდესაც თავისუფლებისმოყვარე გურულებმა გაბედეს და ანექსიის მიუხედავად, გურიის რესპუბლიკა გამოაცხადეს. ამ მამაცმა ხალხმა თავად აიღო ხელში საკუთარი ბედისა და მომავლის მართვა და გამოავლინა თქვენთვის ასე დამახასიათებელი ორგანიზაციული ნიჭი.

ასე იყო 1918 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა – საქართველოს დამოუკიდებლობის დამფუძნებელი კრების წარმომადგენელთა უმეტესობა ხომ გურულები იყვნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერთა შორისაც ხომ გურულები ჭარბობდნენ?!

ვიცი, რომ ჩვენი ქვეყნის სიყვარული და მის მომავალზე ფიქრი მუდამ თქვენს საზრუნავს შეადგენდა და შეადგენს.

ეს დაამტკიცეთ საქართველოს უახლესი ისტორიის ურთულეს პერიოდშიც, როდესაც ჩვენი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, როდესაც საქართველოს ხვალინდელი დღის აღარავის სწამდა, როცა ჩვენი ქვეყნის თითოეულ კუთხეში საყოველთაო ნიჰილიზმი სუფევდა, რადგან იმდროინდელი ხელისუფლების – „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმი ტერორში ამყოფებდა საკუთარ ხალხს.

12 წლის წინ, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე გარწმუნებდით, რომ თქვენი ნდობის და მხარდაჭერის შემთხვევაში, ერთად დავასრულებდით მოძალადე რეჟიმს და იმ სიღატაკეს, რაც წინა ხელისუფლების მტაცებლური ბუნების გამო, მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი გურიაში სუფევდა.

გემახსოვრებათ ისიც, რომ წლები გადიოდა, მაგრამ თქვენს დალოცვილ მხარეში არაფერი კეთდებოდა, უტიფრად იმეორებდნენ – გურია ლამაზი, თუმცა ღარიბი კუთხეაო, მაგრამ ამ მოცემულობის შესაცვლელად, თითს-თითზე არ აკარებდნენ. მეტიც, იმდენი მოახერხეს, რომ სტუმარ-მასპინძლობით განთქმული გურულები სიდუხჭირეში აცხოვრეს, გულღია, სიცოცხლით სავსე ხალხს მომავლის იმედი და რწმენა დაუკარგეს.

როგორც პოლიტიკური ფიგურა, პირველად 12 წლის წინ შეგხვდით და შეგპირდით, რომ ჩემს პოლიტიკურ გუნდთან ერთად, ბოლომდე ვიბრძოლებდი იმისთვის, რომ ადამიანების ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვლილიყო, რომ გლეხის ნაშრომი დაფასებულიყო, ქართულ პროდუქტს ფასი დასდებოდა და ადგილობრივ ბაზარზე კვლავ გამოჩენილიყო ჩვენს მიწაზე, ჩვენი ხალხის მიერ მოყვანილი მოსავალი.

ამას გარდა, ბუნების მიერ უხვად დაჯილდოებული ამ კუთხის პოტენციალი ჩემთვის იმთავითვე ცხადი იყო – გურიას არაფერი აკლდა საიმისოდ, რომ აქ არაერთი მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელებულიყო, რაც მთლიანად რეგიონის განვითარებაზე აისახებოდა.

დღეს გურია ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე 12 წლის წინ. ადამიანის შრომა მეტად ფასდება, გურიის კურორტები არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ, უცხოელი ვიზიტორების საყვარელი ადგილებია, ბევრად უკეთაა განვითარებული ინფრასტრუქტურა, რაშიც პირადად, ჩემი მოკრძალებული წვლილიც შევიტანე, რადგან ყოველთვის მწამდა და მწამს გურიის და გურული ხალხის უნიკალურობის!

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მიღწეული მთელი რიგი წარმატებების მიუხედავად, რა თქმა უნდა, შეჩერებას არ ვაპირებთ და მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება და კეთილდღეობა ყველა თქვენგანმა, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ საკუთარ თავზე იგრძნოს.

თუმცა, მოგეხსენებათ, განვითარება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის პირობებშია შესაძლებელი!

გურულებს მშვიდობის ფასი არ გესწავლებათ.

თქვენ ის ხალხი ხართ, ვინც ღვინის სამშობლოში, ქართულ სუფრაზე, საკრალური ქართული ღვინით, პირველად, სწორედ მშვიდობის სადღეგრძელოს წარმოთქვამთ.

მშვიდობას რა ფასი აქვს, ჩვენი ქვეყნის ისტორიამ კარგად გვასწავლა. საუკუნეების განმავლობაში, ქართველები არნახულ მსხვერპლზე მივდიოდით და სიცოცხლის ფასად, იარაღით ხელში ვიცავდით ჩვენი ოჯახების, ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის მშვიდობას.

მშვიდობის მნიშვნელობა მკაფიოდ დაგვანახა საქართველოს უახლესმა წარსულმაც, იმ ტრაგიკულმა მოვლენებმა, რაც ჩვენს სამშობლოში 90-იან წლებში დატრიალდა და 2008 წლის ომმა, დანაშაულმა, რომელზეც „ნაციონალური მოძრაობაა“ პასუხისმგებელი!

ამის საპირისპიროდ, „ქართული ოცნება“ ერთადერთი პოლიტიკური ძალაა საქართველოში, რომელმაც ურთულეს ვითარებაში, ქვეყანას 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა მოუტანა!

ყველა, ვისაც გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, ერთხმად ვთანხმდებით, რომ დღეს, იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც საქართველო რეგიონში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების ფონზე დგას, მშვიდობის შენარჩუნება ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

თუმცა, ფაქტია, საქართველოში დღეს ჯერ კიდევ

დასასრული მე-5 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი: „ნებისმიერ დროს მზად უნდა ვიყოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღსადგენად“

მე-4 გვერდიდან

თავისუფლად საქმიანობენ რადიკალური ძალები, უფრო კონკრეტულად კი კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც არათუ მშვიდობა არ სურს ჩვენს ქვეყანაში, არამედ, ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს, რომ საქართველო, როგორმე, სამხედრო კონფლიქტში ჩაითრიოს.

კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ ამ ქვეყნის არაკეთილმოსურნეთა სამსახურში დგას და ეს უკვე არაერთხელ დამტკიცდა.

ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ეს ძალა და მისთვის დავალების მიმცემები საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ!

დარწმუნებული ვარ, კრიტიკული აზროვნებით გამორჩეული გურულები ამას თავადაც კარგად ხედავთ.

დამეთანხმებით, რომ მუდმივად რევოლუციების მოწყობისა და ქვეყნის არევის მცდელობის რეჟიმში ცხოვრება ქვეყნის განვითარებასა და წინსვლას აფერხებს.

ამიტომაც, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს რადიკალების მონაწილეობა ქართულ პოლიტიკაში. არათუ უნდა დასრულდეს, დღის წესრიგში უნდა დადგეს რეჟიმის გასამართლების საკითხი ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის, რაც მათ 2008 წლის აგვისტოში ჩაიდინეს და რამაც ჩვენი თანამოქალაქეების სიცოცხლე შეიწირა და საქართველოს ორი ისტორიული რეგიონი დაგვაკარგვინა. პირობას გაძლევთ, რომ არჩევნების შემდეგ ჩვენ აუცილებლად გავასამართლებთ კოლექტიურ „ნაცმოძრაობას“ მოღალატეობრივი ქმედებების გამო!

სხვაგვარად შეუძლებელია!

უფლისა და სამშობლოს წინაშე ვალდებულნი ვართ, რომ ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალ თაობას ჯანსაღი, დემოკრატიული პოლიტიკური სივრცე დავუტოვოთ, რათა საზოგადოებას არ უწევდეს არჩევანი ომსა და მშვიდობას, უცხო ქვეყნის აგენტებსა და ქართველი ხალხის ინტერესების გამტარებელ პოლიტიკურ გუნდს შორის და არჩევანს კარგსა და უკეთესს შორის აკეთებდეს.

ამიტომაც, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, ისევე, როგორც 2012 წლის 1 ოქტომბერს, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს!

პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ქართველი ხალხის უპრეცედენტო მხარდაჭერით, „ქართულ ოცნებას“ ხელთ ჰქონდეს ყველა ბერკეტი საქართველოში გრძელვადიანი მშვიდობის დამყარებისა და გამართული დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილების ჩამოყალიბებისთვის.

და თქვენს მხარდაჭერაში დარწმუნებული, პირადად გაძლევთ პირობას, მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ – იქცევა რეალობად ქვეყნისა, ასე ძალიან რომ გვიყვარს, ქვეყნისა, რომელიც არის და იქნება დამოუკიდებელი, თავად განსაზღვრავს საკუთარი ხალხის ბედს და მისი აღმატებულება ქართველი ხალხის გარდა, არავის მისცემს უფლებას, უკარნახოს, რა არის საქართველოსთვის კარგი, რისი უნდა გვწამდეს და რა ღირებულებებით უნდა ვიცხოვროთ!

ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავჭრათ პრობლემა, რომელიც ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის სახით, უდიდეს საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რწმენისა და შვილების მომავალს. საქართველოში ვერავინ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ ქართველი დედის დედობა და ქართველი მამის მამობა! ვეღარავინ უნდა ბედავდეს ცხოვრების გაუკუღმართებული წესის პროპაგანდას, რაც დღეს უკონტროლოდ მოედინება რადიკალური ჯგუფების მიერ მართული მედიიდან. გასულმა წლებმა დაადასტურა, რომ მე და ჩემი გუნდი ვართ გარანტი სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ აგრესიულმა უმცირესობამ, თუნდაც ვერბალურად იძალადოს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაზე.

ისტორიულად, ჩვენი ქვეყნის ერთიანობა მთავარი საზრუნავი იყო გურულებისათვის. თქვენ დიდი ღვაწლი გაქვთ სხვადასხვა ეპოქაში საქართველოს გაერთიანებაში. ამ მხრივ, ახლაც განსაკუთრებული მომენტი გვიდგას – ჩვენ, ნებისმიერ დროს, მზად უნდა ვიყოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღსადგენად. მმართველ გუნდს ამისათვის მაქსიმალური ლეგიტიმაცია სჭირდება. გახსოვდეთ, რომ თქვენ მიერ მონიჭებული თითოეული მანდატი არის საქართველოს გაერთიანებისთვის მიცემული ერთი ხმა.

სწორედ ამიტომ, „ქართულ ოცნებას“ სჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა, რადგან ჩემ მიერ ჩამოთვლილი საკითხები – დამნაშავე პოლიტიკური აგენტურის გასამართლება და პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღება, ფსევდოლიბერალური ღირებულებებისგან, ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების დაცვა და მზადება საქართველოს გასაერთიანებლად სწორედ რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაშია შესაძლებელი.

გასულ დღეებში, ჩვენ გაგაცანით საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა განხორციელებასაც საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემდეგ ვგეგმავთ და იქვე აღვნიშნეთ, რომ იყო კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესათანხმებლად კონსულტაციები გვესაჭიროებოდა. მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსულტაციები წარმატებით დასრულდა და გვინდა წარმოგიდგინოთ კიდევ ერთი საკონსტიტუციო ცვლილება, რომელსაც ჩვენი პოლიტიკური გუნდი არჩევნების შემდეგ განახორციელებს.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველო ისტორიულად ამაყობს ერთი მხრივ, რელიგიური ტოლერანტობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით და მეორე მხრივ, მართლმადიდებლობით, რომელიც მამულთან და ენასთან ერთად, ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ არ წყდება თავდასხმები მართლმადიდებელ ეკლესიაზე, რისი მიზანიც სწორედ საქართველოს იდენტობის შერყევაა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1995 წლიდან მოქმედი კონსტიტუციური ჩანაწერი რელიგიისა და ეკლესიის შესახებ, სათანადოდ არ ასახავს იმ როლს, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია ქვეყნის ცხოვრებაში ასრულებს.

იმისათვის, რომ მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტიტუციური სტატუსი კიდევ უფრო გამყარდეს და კონსტიტუციურმა ჩანაწერმა არსებული სინამდვილე უფრო ზუსტად ასახოს, საქართველოს კონსტიტუციაში მართლმადიდებლობის, როგორც ქართული სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის მისია მკაფიოდ აისახება. აგრეთვე, ხაზი გაესმება მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს, როგორც საქართველოს ისტორიაში, ისე ჩვენი ქვეყნის თანამედროვეობაში.

რა თქმა უნდა, საქართველოს კონსტიტუცია სრულად განამტკიცებს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობისა და რწმენის თავისუფლების პრინციპებს.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ ეკლესიას, უწმინდესსა და უნეტარესს, მღვდელმთავრებს ჩვენი ინიციატივის მხარდაჭერისთვის, ისევე, როგორც, საზოგადოდ, იმ წვლილისთვის, რომელიც მათ საქართველოს თვითმყოფადობის დაცვასა და შენარჩუნებაში შეაქვთ.

ძვირფასო გურულებო!

თქვენი შემხედვარე, მტკიცედ მჯერა, რომ დამაჯერებლად გავიმარჯვებთ და ერთად შევქმნით ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს!

ჩემო გურულებო, მოგიწოდებთ, თქვენი, ჩვენი და ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის საკეთილდღეოდ, ის მრავალი ხმა, ის პოლიფონია, თქვენს გასაოცარ „კრიმანჭულში“ რომ ისმის, გავაერთიანოთ და 26 ოქტომბერს, ქართველი ხალხის, საქართველოსა და ქართული ოცნების გამარჯვების სიმღერად ვაქციოთ!“

გურჯაანის მუნიციპალიტეტში გაფლანგული საბიუჯეტო სახსრები

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კიდევ ერთი ანგარიში პროკურატურაში

„ვერსია“ აგრძელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმ ანგარიშების შეხსენებას, რომლებიც უწყებამ გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. ამჯერად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტს გთავაზობთ. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა მთელი რიგი ფინანსური დარღვევები გამოავლინეს და მათ გამოსასწორებლად, რეკომენდაციებიც შეიმუშავეს, თუმცა ვიდრე დარღვევებს გაგაცნობთ, შეგახსენებთ, რა პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისთვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს. ახლა, დეტალურად გავეცნოთ, რა დარღვევები გამოვლინდა გურჯაანის მუნიციპალიტეტში.

ხარვეზები ფინანსური რესურსების მართვაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2021-2022 წლების შემოსულობებმა 70.452.6 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 63.452.1 ათასი ლარი შეადგინა.

„ორივე საბიუჯეტო წლისთვის, მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა ბიუჯეტის, როგორც შემოსულობების, ასევე, გადასახდელების მუხლები. კერძოდ, 2021-2022 წლებში, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებამ ჯამში 5.399.8 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა კონკრეტულ საბიუჯეტო წლებში არ გაითვალისწინა მნიშვნელოვანი ფულადი რესურსის ხარჯვა. გარდა ამისა, გურჯაანის მერიამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის საქართველოს მთავრობის თანხები და ვერ უზრუნველჰყო ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგები: ძირითადად, ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, წყლის სისტემის, სპორტული მოედნების, სკვერებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები, შეუსაბამოდ დაიგეგმა ან/და არ ჩატარდა კულტურული და სპორტული ღონისძიებები და სხვა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო დაგეგმვისა და შესრულების გამო, გურჯაანის მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე, ნაშთის სახით, 764.1 ათასი ლარი ერიცხებოდა.

„2021 წლისათვის დაიგეგმა 555.9 ათასი ლარის ათვისება, თუმცა ფულადი სახსრების დაგროვებამ 5.627.6 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 6.391.7 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 3.608.4 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია. 2022 წელს, მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 5.478.2 ათასი ლარის ათვისება, თუმცა დააგროვა 1.373.3 ათასი ლარი. საბოლოოდ, წლის ბოლოსთვის, საბიუჯეტო ნაშთმა 7.765.0 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 6.307.1 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია“.

ამ დარღვევებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტმა, 2021-2022 წლებში, ვერ უზრუნველჰყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტების/პროგრამების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი, მათ შორის, თავისუფალი ნაშთი. ეს მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე!

ხარვეზები ინფრასტრუქტურულ პროექტებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2021-2022 წლებში, გურჯაანის მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა 249 ხელშეკრულებით, რომელთა საერთო ღირებულება 29.734.0 ათასი ლარი იყო. მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებასა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს მიმღები ჯგუფი. ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის მიერ გაცემული დასკვნების გათვალისწინებით, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა დადებითი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

ამის შემდეგ, აუდიტის ჯგუფმა ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, რის შედეგადაც გამოვლინდა დაზიანებული ობიექტები. მაგალითად, მუნიციპალიტეტმა 2022 წელს შეისყიდა ქალაქ გურჯაანში, კოტეხის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 183.3 ათასი ლარი. თუმცა, გზის მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებულია.

„გარდა ამისა, ხარვეზები გამოვლინდა 11 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 1.020.1 ათასი ლარია. კერძოდ, დაზიანებულია საგზაო, განათლების, სპორტისა და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. როგორც გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველჰყოფდა სათანადო რწმუნებას სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. შედეგად, ობიექტები დაზიანებულია და დამატებითი რეაბილიტაციაც სჭირდება. სამწუხაროდ, გურჯაანის მერიას არ დაუდგენია ხარვეზების გამომწვევი მიზეზები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები/ორგანიზაციები და არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ დათვალიერებისას გამოვლენილი დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადები არ იყო გასული. მიუხედავად ამისა, მერიის შესაბამის სამსახურს ყველა ობიექტის მონიტორინგი არ განუხორციელებია, რაც მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემდა გამოეკვლია დაზიანების მიზეზები და მიმწოდებლებისთვის მოეთხოვა დაზიანებების გამოსწორება. შესაბამისად, გურჯაანის მერიამ არ გამოიყენა ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლება და არუზრუნველჰყო არსებული წუნის მიმწოდებელი ორგანიზაციების სახსრებით დროული აღმოფხვრა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. შედეგად, მერიამ ჩაიბარა 1.203.4 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ექსპლოატაციაში მიღებიდან მოკლე დროში დაზიანდა და დამატებითი რეაბილიტაცია სჭირდება. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები და ზარალის ანაზღაურების მიზნით არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

დასასრული მე-7 გვერდზე

გურჯაანის მუნიციპალიტეტში გაფლანგული საბიუჯეტო სახსრები

მე-6 გვერდიდან

ხარვეზები შესყიდვებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2021 წელს, გურჯაანის მუნიციპალიტეტმა, სოფელ გურჯაანში, ქვემო წითელ უბანში შეისყიდა შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 428.4 ათასი ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან – ამხანაგობა „გზამშენი 15“.

„მუნიციპალიტეტმა სრულად აანაზღაურა ხელშეკრულების ღირებულება. ხელშეკრულების შესრულების პროცესში გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები: სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, მხარეები შეთანხმდნენ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებაზე. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი შეიცვალა ისეთი სამუშაოებით, რომელთა ღირებულებაც ტენდერის შედეგად არ იყო დადგენილი. კერძოდ, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები შეიცვალა ანაკრებით.

ხელშეკრულების კორექტირების შედეგად, გაიზარდა კონკრეტული სამუშაოების ერთეულის ფასები და შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სამუშაოების სრული ღირებულება. კერძოდ, ხარჯთაღრიცხვის მიხედვით უნდა მოწყობილიყო 42.3 ათასი ლარის ღირებულების რკინა-ბეტონის ღარი და კიუვეტი, თანმდევი სამუშაოებით. ცვლილების შესაბამისად, სამუშაოების ღირებულება გაიზარდა 33.3 ათასი ლარით“.

გარდა ამისა, საგზაო სამუშაოების მოწყობის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში, გურჯაანის მერიამ შესაბამისი დასაბუთების გარეშე შეცვალა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სახეობა და გაზარდა ერთეულის ღირებულებები, რამაც სამუშაოების მოცულობა შეამცირა. შედეგად, ხელშეკრულების პირობები გაუარესდა და მუნიციპალიტეტმა მიიღო დაგეგმილზე ნაკლები პროდუქტი.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, 2021-2022 წლებში, მუნიციპალიტეტი წინასწარ ანგარიშსწორებას ახორციელებდა მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი იდენტური თანხის გარანტიის საფუძველზე. საავანსო თანხა გამოიქვითებოდა შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

„პროცესის შესწავლით გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც გურჯაანის მერიამ არ გამოიყენა შესაძლო ზარალის დამცავი მექანიზმი და გარანტორისაგან საგარანტიო თანხები დროულად არ მოითხოვა, რითაც მუნიციპალიტეტი ფინანსურად დაზარალდა. კერძოდ, 2022 წელს, მუნიციპალიტეტმა შეისყიდა მინი-მოედნის, სატრენაჟორო სივრცისა და საბავშვო მოედნის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 180.0 ათასი ლარი.28 მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს გადაუხადა სულ 87.5 ათასი ლარი, მათ შორის, 30.0 ათასი ლარი – ავანსის სახით და 57.5 ათასი ლარი – შესრულებული სამუშაოს ღირებულების (73.4 ათასი ლარი) პროპორციულად, ავანსის ნაწილის დაკავებით.

მიმწოდებელმა – შპს „დიომინემ“ სამუშაოები ვერ დაასრულა, რის გამოც მერიამ ხელშეკრულება შეწყვიტა. შედეგად, გადახდილმა თანხამ 14.1 ათასი ლარით გადააჭარბა შესრულებული სამუშაოს ღირებულებას. მიუხედავად იმისა, რომ შემსყიდველის ინტერესების დასაცავად იდგა სადაზღვევო გარანტიის გამოყენების შემთხვევა, მერიამ შესაბამისი თანხა გარანტორისაგან დროულად არ მოითხოვა და ხელშეკრულება შეწყვიტა გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ“.

ანალოგიურად, 2022 წელს, ქალაქ გურჯაანში, ინფრასტრუქტურული ობიექტების შესყიდვისას, მერიამ შპს „ლისა ჯგუფთან“ ხელშეკრულება შეწყვიტა მიმწოდებლის მხრიდან პირობების შეუსრულებლობის გამო. სხვაობამ გადახდილ თანხასა და შესრულებული სამუშაოს ღირებულებას შორის, 7.2 ათასი ლარი შეადგინა. მერიამ არც ამ შემთხვევაში მოითხოვა დროულად შესაბამისი საგარანტიო თანხის ანაზღაურება. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ხელშეკრულებების არასათანადო ადმინისტრირების გამო, გურაჯაანის მერიამ არ გამოიყენა ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ქმედითი მექანიზმი, რითაც მუნიციპალიტეტმა დაკარგა გარანტორისაგან 21.3 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.

ხარვეზები საწვავის ხარჯვაში

საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტი – „ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“, თვითმმართველობებისთვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება. გურჯაანის მუნიციპალიტეტს ამ საკითხზე ნორმატიული აქტი არ მიუღია – სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა რეგულირდებოდა მერის ბრძანებების საფუძველზე.

„2021-2022 წლებში, გურჯაანის მუნიციპალიტეტი ფაქტობრივად, მერის ბრძანებით, დადგენილზე ორი ერთეულით მეტ სამორიგეო ავტომანქანას იყენებდა. მუნიციპალიტეტი საწვავს გასცემდა მოხელეების კერძო საკუთრებაში არსებულ 31-38 ერთეულ ავტომანქანაზე. კერძოდ, 2021-2022 წლებში, კერძო ტრანსპორტზე გამოყენებულია 44.6 ათასი ლიტრი საწვავი“.

სახელმწიფო აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ავტომობილებზე საწვავის ხარჯვის დოკუმენტაცია, მათ შორის, აგაი სისტემის მონაცემები. გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებში ერთჯერადად ჩასხმულია ავტომობილების ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობის საწვავი. კერძოდ, 2021-2022 წლებში, ხუთ სატრანსპორტო საშუალებაზე, ავტომობილის ავზის მოცულობაზე გადაჭარბებით საწვავის ჩასხმის რვა შემთხვევა გამოვლინდა. გარდა ამისა, მივლინების ან/და სხვა სახის დასაბუთების გარეშე, გურჯაანის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ მდებარე ბენზინგასამართ სადგურებზე, საწვავით გამართვის 129 ფაქტიც გამოიკვეთა. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ამ შემთხვევებში, დახარჯულია 24.8 ათასი ლარის ღირებულების 9.9 ათასი ლიტრი საწვავი.

„შვებულების პერიოდში მუნიციპალიტეტის თანამშრომლები არ არიან უფლებამოსილნი, ისარგებლონ მათთვის გამოყოფილი საწვავით. მიუხედავად ამისა, 2021-2022 წლებში, შვებულების პერიოდში კერძო ავტომობილების საწვავით გამართვის 30 შემთხვევა დაფიქსირდა. ჯამში, გაიხარჯა 2.0 ათასი ლარის ღირებულების 730.0 ლიტრი საწვავი“.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიდგომა სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ არარაციონალურია. კერძოდ, გურჯაანის მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე; საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველჰყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს. შედეგად, საწვავი გამოყენებულია არაავტორიზებულ ავტომანქანებზე, ასევე, მოხელეების შვებულებაში ყოფნის დროს და კონკრეტული მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

მეუღლის სახელზე რეგისტრირებული ბინა პარიზის გარეუბანში – რა ქონებას ფლობს ექსპრემიერი

გიორგი გახარიას ქონებრივი დეკლარაცია

მაკა რუხაძე

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მოღალატეს უწოდებენ, ნაციონალები და ოპოზიციის სხვა წარმომადგენლები – „თვალთხარიას“. არადა, ბიზნესიდან პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილმა მოიყვანა, ჯერ მთავრობის კანცელარიაში მუშაობდა ბიზნესომბუდსმენად, მერე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, მოგვიანებით კი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ვიცე-პრემიერი და ბოლოს პრემიერ-მინისტრი იყო. ახლა კი „ქოცებსაც“ და „ნაცებსაც“ უპირისპირდება და არჩევნებში, თავისივე დაფუძნებული პარტია „საქართველოსთვის“ სახელით აპირებს მონაწილეობას. „ვერსია“ ყოფილი პრემიერის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ, თუმცა მანამდე, გიორგი გახარიას ბიოგრაფია გავიხსენოთ.

ექსპრემიერის ბიოგრაფია

გიორგი ზაურის ძე გახარია დაიბადა 1975 წლის 19 მარტს, თბილისში. 1992-1994 წლებში, სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1994-1999 წლებში – მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მიენიჭა პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი. 2003-2004 წლებში, სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის უმაღლეს ბიზნეს-სკოლაში, სადაც მიენიჭა ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი.

1999-2008 წლებში – მუშაობდა სხვადასხვა კერძო ორგანიზაციაში ხელმძღვანელ პოზიციებზე; 2006 წლის სექტემბრიდან 2009 წლის მაისამდე იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიოტექნოლოგიის მიწვეული ლექტორი; 2008 წლის ნოემბრიდან 2013 წლის თებერვლამდე იყო Lufthansa Service Holding AG. LSG in Frankfurt, Germany ბიზნესის განვითარების დირექტორი აღმოსავლეთ ევროპაში, დსთ-ის ქვეყნებსა და რუსეთის ფედერაციაში; 2013 წლის მარტიდან 2016 წლის ივლისამდე იყო საქართველოს ბიზნესომბუდსმენი; 2014 წლის დეკემბრიდან 2016 წლის სექტემბრამდე – საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში და ეკონომიკური საბჭოს მდივანი; 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის ნოემბრამდე იკავებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თანამდებობას; 2017 წლის 13 ნოემბრიდან 2019 წლის სექტემბრამდე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ასევე ქვეყნის ვიცე-პრემიერი; 2019 წლის აპრილიდან 2019 წლის სექტემბრამდე იყო ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი; 2019 წლის 8 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა გიორგი გახარიას პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ნდობა გამოუცხადა; 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ პარტიული სიის პირველი ნომერი (და პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი) იყო. არჩევნების შედეგებით, საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი გახდა პარტიული სიით, 24 დეკემბერს, პარლამენტმა გახარიას მთავრობას ნდობა გამოუცხადა. 2021 წლის 18 თებერვალს, განაცხადა თანამდებობის დატოვების შესახებ. არის პარტია „საქართველოსთვის“ დამფუძნებელი.

გიორგი გახარია ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს, ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

გახარიას ქონება

დეკლარაცია გიორგი გახარიამ სულ ბოლოს, 2021 წლის 18 აპრილს შეავსო, რომელიც როგორც მისი, ასევე მისი ცოლის ქონების შესახებ ინფორმაციას მოიცავს.

ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, გახარიას მფლობელობაშია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მდებარე 2 290 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელიც ყოფილმა პრემიერმა 2020 წელს განვადებით შეიძინა – მართალია, ამ უძრავი ქონების ღირებულება ჯამში 85 000 ლარია, მაგრამ გახარია მას სამ ეტაპად დაფარავს. 2020 წელს, მან ამ მიწის ნაკვეთისთვის მხოლოდ თანხის ნაწილი – 25 000 ლარი გადაიხადა.

გიორგი გახარიას ცოლის, მარიკა ფანცულაიას საკუთრებაშია 83 კვ.მ. ფართობის ბინა საფრანგეთში, პარიზის გარეუბანში – ეს ქონება ყოფილი პრემიერის ოჯახმა 2020 წელს, 472 400 ევროდ შეიძინა. დეკლარაციის მიხედვით, ბინა დანაზოგით შეიძინეს.

გარდა ამისა, მარიკა ფანცულაია 2016 წლიდან ფლობს Toyota RAV 4-ის ფირმის ავტომანქანას, რომელიც 22 000 აშშ დოლარად შეუძენია.

2020 წელს, გიორგი გახარიამ, საქართველოს პრემიერ-მინისტრად მუშაობის სანაცვლოდ, ბიუჯეტიდან 41 004 ლარის ხელფასი აიღო. დეკლარაციის შევსების მომენტისთვის, მის ყველა საბანკო ანგარიშზე, ჯამურად 14 419 ლარი ირიცხებოდა. რაც შეეხება ყოფილი პრემიერის ცოლის სახელფასო ანაზღაურებას, დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მარიკა ფანცულაიამ 2020 წელს, „ავერსის“ კლინიკაში ექიმად მუშაობის სანაცვლოდ, 11 084 ლარის ანაზღაურება მიიღო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს, გახარიას ცოლმა 20 309 დოლარის სადეპოზიტო სარგებელი მიიღო. დოკუმენტის შევსების მომენტისთვის ოჯახს სადეპოზიტო ანგარიშზე თანხები არ ერიცხებოდა.

ქონებრივი დეკლარაცია ხარჯების ნაწილსაც მოიცავს, სადაც აღნიშნულია, რომ 2020 წელს, მარიკა ფანცულაიამ უძრავი ქონების ქირავნობის სანაცვლოდ, 39 000 ლარი დახარჯა. ასევე, დოკუმენტის მიხედვით, 2020 წელს, გახარიამ და მისმა ცოლმა შვილის სწავლის საფასური – 3 660 ევრო გადაიხადეს.

სამართალი

№28 4 სექტემბერი 2024 წ

„მე მოვკალი ის ბოზი“

სიძე-სიდედრის სასიყვარულო ურთიერთობა და ქმრის სისხლიანი შურისძიება

ბათო ჯაფარიძე

შესაძლოა, ბევრმა მამაკაცმა არ აღიაროს, მაგრამ გულის სიღრმეში ყველას „უტყდება“, თუ ცოლი მასზე მეტს გამოიმუშავებს. ამიტომ, ისინი ჯიუტად ცდილობენ, რომ ოჯახში მთავარი შემომტანები თავად იყვნენ და ზოგს გამოსდის, ზოგს – არა. რეალურად კი, ნელ-ნელა იქითკენ მივდივართ, რომ ცოლი და ქმარი ერთად ფიქრობენ ოჯახის კეთილდღეობაზე, ერთად გეგმავენ, როგორც ოჯახის ბიუჯეტს, ისე იმას, თუ სად, რაში დახარჯონ ან დააბანდონ და ეს არ არის ცუდი. მით უმეტეს, დღეს უკვე აღარავისთვისაა უცხო წარმატებული ბიზნესმენი ქალები, რომლებიც არცთუ მცირე კაპიტალს ფლობენ და ამა თუ იმ სფეროში მოღვაწე მამაკაცებს სერიოზულ კონკურენციას უწევენ.

ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი წარმატებული ქალი ნახეს გარდაცვლილი, თავისივე ავტოსახელოსნოში და რაღა თქმა უნდა, სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. საინტერესო ის იყო, რომ ქალი მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც მანქანის ქვეშ, ცუდად დამაგრებული ჰიდრავლიკური ამწე (დანგრატი) წაიქცა და ქალს ავტომობილი მკერდზე დაეცა.

„არც კი ვიცი, რა ვთქვა. მთელი ცხოვრება ავტომანქანებზე აბოდებდა, მამამისი და მისი ორივე ძმა ხელოსნები იყვნენ და რაღა თქმა უნდა, მანქანის რაღაცები მასაც ესმოდა. თუმცა, ერთია, როცა რაღაც გესმის და მეორე, როცა მანქანის გასაკეთებლად მიძვრები. ავტოსახელოსნოც სწორედ ამიტომ გახსნა, აიჩემა, მინდა, რომ ქალაქში ყველაზე მაგარი „პროფილაქტიკა“ მქონდესო და მართლაც ჰქონდა. მამაკაცებისთვის თავიდან უცხო იყო, რომ ქალი „ამორტიზატორებს“, ხუნდებს ცვლიდა, მანქანას უსმენდა,ზუსტ მიზეზს პოულობდა. მერე და მერე, პოპულარობა მოიპოვა, ძალიან ბევრი კლიენტი გვყავდა, იმდენი, რომ რამდენიმე დამხმარე ავიყვანეთ, თუმცა ყველას მაინც ის სურდა, რომ ჩემი მეუღლე მომსახურებოდა, რადგან მართლაც განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა და უზუსტესად ხვდებოდა, რა იყო გასაკეთებელი. მეც აქ ვმუშაობდი, მეც არ ვარ ცუდი ხელოსანი, მაგრამ ის ყველაზე მაგარი იყო. რაც შეეხება ამ კონკრეტულ ავტომობილს, ეს მისია, სამი დღის წინ იყიდა, დღეს დილით კი თქვა, რომ ხმა არ მოეწონა და სახელოსნოში პირადად ნახავდა. დღეს უქმე დღეა, ვისვენებთ, ამიტომ როცა დილით ადგა და წავიდა, მე ძილი გავაგრძელე, მერე კი, სახელოსნოში წავედი და ეს სურათი დამხვდა. დანგრატის დაყენება არასოდეს უყვარდა, მუდმივად ჩქარობდა და ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მანქანა დანგრატიდან ჩამოვარდა. სხვა ხელოსნებიც დამეთანხმებიან, რომ ამ სიჩქარეს გადააყოლა სიცოცხლე“, – ეს ჩვენება სამართალდამცავებს გარდაცვლილის ქმარმა მისცა.

მალე სახელოსნოში გარდაცვლილის ერთადერთი ქალიშვილი და სიძე მივიდნენ, გოგონამ ნამდვილი ისტერიკა მოაწყო, დაჩოქილი კოცნიდა იმ ადგილს, სადაც მანამდე, დედამისის ცხედარი უძრავად იდო, სისხლის ლაქებს ეფერებოდა. სიძე კი უძრავად, გამეხებული სახით იდგა და მერე შეეცადა, როგორმე, ცოლი წამოეყენებინა, როგორმე, აზრზე მოეყვანა, მაგრამ ქალი მაინც ბოლო ხმაზე კიოდა. დედის გარდაცვალება უბედური შემთხვევა რომ იყო, ეჭვი არც შვილს შეჰპარვია, იგივე გაიმეორა, რაც მამამ, მუდმივად თავად ცდილობდა, ავტომობილი გაეკეთებინა და მით უმეტეს ეს მისი ოცნების მანქანა იყო და არავის დაანებებდაო. ჰო, თურმე, ქალი მთელი ცხოვრება სწორედ ასეთ მანქანაზე ოცნებობდა, იყიდა და აგერ, ყველაფერი თავზე დაენგრა. იგივე თქვა სიძემაც, ისიც სახელოსნოში მუშაობდა, სწორედ იქ გაიცნო მფლობელების ქალიშვილი, ერთმანეთი შეუყვარდათ და იქორწინეს კიდეც, თუმცა ბიჭს არც სამუშაო მიუტოვებია და ზუსტად იგივეს აკეთებდა, რასაც მანამდე ანუ სიძის პრივილეგიებით არ სარგებლობდა.

„აქ პრივილეგიებით ვერ ისარგებლებდი, საქმე საქმე იყო და ყველა ბოლომდე უნდა დახარჯულიყო. მეც ასე ვიხარჯებოდი და მეც ზუსტად ისე ვიღებდი ხელფასს, როგორც დანარჩენები ანუ დამსახურების მიხედვით. ამას ყველა დაადასტურებს. უფროსი მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი და რაც მთავარია, თუ თავად გადაწყვეტდა მანქანის გაკეთებას, გამორიცხული იყო, ვინმე მასთან ახლოს მიეშვა, თავიდან ბოლომდე თვითონ აკეთებდა და ეს საქმე ძალიან კარგად იცოდა“, – ეს კი სიძემ თქვა.

რეალურად, სამართალდამცავებს მოტივი არ ჰქონდათ, ოჯახის წევრების სიტყვებში ეჭვი შეეტანათ. მეტიც, გამორიცხული იყო, შვილს, ქმარს და სიძეს ერთი ქალის მოშორება გადაეწყვიტათ და ასეთი მეთოდით მოეშორებინათ თავიდან. შესაბამისად, საქმე უბედურ შემთხვევად უნდა გაფორმებულიყო, მაგრამ აუცილებელი გახლდათ, ფორმალური მხარის დაცვისთვის და დოკუმენტის არსებობისთვის, სახელოსნოს კიდევ ორ თანამშრომელს მაინც დაედასტურებინა ის, რომ მეპატრონე მართლაც თავადაც აკეთებდა მანქანებს და რაც მთავარია, დანგრატს ყოველთვის უგულოდ ამაგრებდა. ამიტომ, გამომძიებლები მშვიდად წავიდნენ სახლში და მეორე დღეს დაელოდნენ.

„ჰო, ჩვენი უფროსი ნამდვილი პროფესორი იყო, ისეთ რაღაცებს პოულობდა, ყველას გვიკვირდა. მკაცრი იყო, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ოდესმე, ვინმეს უსამართლოდ მოექცა“, – განაცხადა ერთ-ერთმა თანამშრომელმა და ისიც თქვა, დანგრატი ერთხელ ადრეც ჩამოუვარდაო. ახლა კიდევ ერთი იყო საჭირო და...

„კარგი ხელოსანი ნამდვილად იყო, მართლა იცოდა მანქანების ავ-კარგი, მაგრამ მე პატივს არ ვცემდი, უბრალოდ, ვმუშაობდი და ვცდილობდი, ურთიერთობა არ მქონოდა. პატივს კი იმიტომ არ ვცემდი, რომ სანამ მისი სიძე გახდებოდა, ის ბიჭი მისი საყვარელი იყო. ამის მიუხედავად, მან უფლება მისცა ბიჭს, მის შვილზე ექორწინა და მგონია, რომ ურთიერთობა არც ამის შემდეგ გაუწყვეტია. აბა, სიძე-სიდედრზე ამას ვინ იფიქრებდა, მაგრამ თვეში ორჯერ მიანც ხდებოდახოლმე, როცა მხოლოდ მას ტოვებდა, სხვებს სახლში გვიშვებდა, ხვალ გააგრძელეთო და აქ ოფისიც გვაქვს, დივანიც... მისი მეუღლე კი, ძირითადად, ნაწილების მომარაგება-მოტანით იყო დაკავებული და ამიტომ, როცა ნაწილებზე მიდიოდა, ზუსტად ვიცოდით, რომ ყველაზე ცოტა, სამი საათი აღარ გამოჩნდებოდა. ეს იცოდა ცოლმაც და ამიტომ ვამბობ, მას სიძესთან ურთიერთობა ისევ ჰქონდა-თქო, რადგან სწორედ მაშინ ტოვებდა სიძეს მარტო, როცა ქმარი ნაწილებზე იყო წასული და იცოდა, დიდხანს არ დაბრუნდებოდა“, – ეს კი მეორე ხელოსანმა თქვა.

მისმა განცხადებამ სამართალდამცავები ჩააფიქრა. ხომ შესაძლებელი იყო, ქმარს ყველაფერი ეს შეეტყო, ან მანამდეც სცოდნოდა და ყელში ამოუვიდა, მკვლელობა დაგეგმა და დაგეგმა იდეალურად. ახლა, მისი ალიბი იყო გადასამოწმებელი ანუ იმყოფებოდა თუ არა მართლა სახლში მაშინ, როცა მისი ცოლი სახელოსნოში იყო და მანქანას აკეთებდა. ის, რომ ქალი თავის ნებით იყო მანქანის ქვეშ შესული, არავინ უარყოფდა, მას ძალადობის კვალი არ ეტყობოდა და ასე უკვალოდ მანქანის ქვეშ ვერავინ შეტენიდა.

სანამ ქმარს დაჰკითხავდნენ, საინტერესო იყო, რას იტყოდა სიძე. ამიტომ, ის მარტო დაიბარეს, აქაოდა, ფორმალურად რაღაცაზეა ხელი მოსაწერი და არ გვინდა, დამწუხრებული ქმარი და შვილი შევაწუხოთო. სიძე იმედიანად მივიდა და როცა სიდედრის საყვარლობაზე ჩამოუგდეს სიტყვა, აშკარად დაიბნა, მაგრამ მერე დამშვიდდა.

„ჰო, ჩვენ საყვარლები ვიყავით. მას შემდეგ, რაც მისი გოგო შევირთე ცოლად, მეგონა, ყველაფერი დასრულდებოდა, მაგრამ არ დასრულებულა. იშვიათად, თუმცა მაინც მთხოვდა ხოლმე მასთან ყოფნას, მე კი... უარი რომ მეთქვა, სამსახურსა და ოჯახს ვკარგავდი, მომავალს ვკარგავდი. არ ვიცი, იმ დღეს რა მოხდა, მაგრამ ის ვიცი, რომ სიმამრი მთელი დილა შინ არ იყო, ის სახელოსნოსთან ახლოს დაინახეს სწორედ იმ დროს, როცა სავარაუდოდ, შემთხვევა მოხდა“, – განაცხადა სიძემ.

ქმარს სამართალდამცავების გამოჩენა ძალიან გაუკვირდა, მაგრამ, როცა ბრალი წაუყენეს, ცოლი შენ მოკალიო, სიცილი დაიწყო, გაგიჟებულხართ, მე ალიბი მაქვსო, თუმცა მისი ალიბი მალე დაიმსხვრა, რადგან ძალოვნებს მოწმე ჰყავდათ, რომელმაც დაადასტურა, რომ მამაკაცი სახელოსნოსთან დაინახა, ხოლო ერთ-ერთმა ხელოსანმა, როგორც იქნა, ამოთქვა, რომ მას შემდეგ, რაც გარდაცვლილს ერთხელ უკვე ჩამოუვარდა დანგრატი, მის საიმედოობას ყოველთვის ამოწმებდა და გამორიცხული იყო, ამჯერად არ შეემოწმებინა. თანაც, ავტომობილის დათვალიერებამ ისიც ანახა, რომ მანქანას არაფერი სჭირდა და ქმარმა ცოლი უბრალოდ მოატყუა, რომ ის ავტომობილის ქვეშ შემძვრალიყო.

„დიახ, მე მოვკალი ის ბოზი და მოვკალი იმიტომ, რომ თუნდაც ჩემი შვილი ყოფილიყო ბედნიერი და მისი ქმარი არ მოეპარა ხოლმე. თან, სულ მამადლიდა, მე რომ არა, შიმშილით მოკვდებოდიო და ეს იმის მიუხედავად, რომ მასზე ნაკლებს არ ვშრომობდი“, – განაცხადა დაკავებულმა და სასამართლომ მას განზრახ მკვლელობისთვის 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

როგორ დაგეგმა ტაქსისტმა მანქანის ნაწილების საწყობის გაქურდვა

ბათო ჯაფარიძე

ექთნის მიერ გაყალბებული დიაგნოზი და ციხეს გადარჩენილი უდანაშაულო მძღოლი

არავინ იცის, რას მოიმოქმედებს მაშინ, როცა გამოუვალი საფრთხის წინაშე დადგება. მაგალითად, როცა ადამიანებს ეუბნებიან, რომ უკურნებელი სენი სჭირთ, ყველა სხვადასხვაგვარად რეაგირებს. ვიღაც ისტერიკაში ვარდება, ვიღაც – საქმიანად იწყებს ფიქრს და ცდილობს, რაღაც საკითხები ისე გადაჭრას, რაც მისი ოჯახის წევრებს ყოფას შეუმსუბუქებს, ვიღაც შურისძიებაზე გადადის და ყოფილა შემთხვევა, როცა ასეთი დიაგნოზის ადამიანს ვიღაც მოუკლავს კიდეც. ვიღაც ყველაფერს მშვიდად ხვდება, იღიმის, ცდილობს, მთელი სანათესაო-სამეგობრო მოინახულოს...

წესითა და რიგით, ბევრს უნდა ახსოვდეს საქართველოს დედაქალაქში წითელი „მიცუბიშის“ ტაქსები რომ შემოვიდა. მაშინ ეს უცხო ხილი იყო ქართველებისთვის, არასაბჭოთა ავტომობილით ტაქსაობაც წარმოუდგენელი ჩანდა და ამიტომ, იმ ავტოებს ბევრი ეტანებოდა, თუმცა იყო ერთი პრობლემა, რომელსაც მგზავრები დროთა განმავლობაში მიხვდნენ – ის წითელი „მიცუბიშები“ კარგი კი იყო, მაგრამ ნაწილები არ იშოვებოდა და ყველა ცდილობდა, სადმე, რამე ეშოვა. მერე, ისე მოხდა, რომ ერთ-ერთმა კომპანიამ საკუთარ თავზე აიღო ნაწილების შემოტანა და გარკვეული თანხა წინასწარაც აიღო. კომპანიამ პირობა შეასრულა, ნაწილები შემოიტანა და... იმავე საღამოს საწყობი გატეხეს და დაახლოებით, 50 ათასი დოლარის ნაწილები მოიპარეს. გარდა იმისა, რომ კომპანიის წარმომადგენლები გაბრაზდნენ, ტაქსისტები ლამის ისტერიკაში ჩავარდნენ, ნაწილი წინასწარ მიცემულ თანხას ჩიოდა, ნაწილი – გაფუჭებულ ავტომობილს, რომელსაც კიდევ კარგახანს ვერ გააკეთებდა. ცხადი იყო, იგივე კომპანიას რომ მოენდომებინა, ნაწილებს, საუკეთესო შემთხვევაში, ახლიდან სამ თვეში შემოიტანდა. ეს კი ძალიან, ძალიან დიდი დრო იყო.

რა თქმა უნდა, კომპანიამ მომხდარის შესახებ საჩივარიც შეიტანა და საქმეში სამართალდამცავები მთელი სერიოზულობით ჩაერთვნენ. ეს არ იყო რიგითი საქმე, ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც კატეგორიულად ითხოვდნენ მის გახსნას და რაც მთავარია, სასწრაფოდ. ძალოვნებმა, პირველ რიგში, დარაჯი დაკითხეს, რომელსაც, როგორც გაირკვა, სათქმელი ბევრი ჰქონდა.

„მთელი საღამო საწყობის წინ, ერთი წითელი ტაქსი მოძრაობდა. თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ მერე დავაკვირდი და მივხვდი, რომ ერთი და იგივე მანქანა იყო, ნომერიც დავიმახსოვრე. მერე, როცა დაბინდდა, ის ტაქსი მოშორებით იდგა, ნომერი არ ჩანდა, მაგრამ გუმანით მივხვდი, რომ ის იყო. ჩემი ჯიხური გარეთ არის, გამვლელ-გამომვლელი მხედავს, მძინავს, მღვიძავს... რა გასაკვირია, რომ ჩამთვლიმა. თვალი რომ გავახილე, დავინახე, რომ ბოქლომი რაღაც არაბუნებრივად იყო ჩამოკიდებული. გარეთ გავედი და მივხვდი, რომ გაქურდულები ვიყავით. ჯერ უფროსს დავურეკე, მერე – მილიციას. დარწმუნებული ვარ, იმ ტაქსის მძღოლმა ჩაიდინა ეს საქმე, მხოლოდ ტაქსისტებმა იცოდნენ, რომ ნაწილები ჩამოვიდა“, – განაცხადა დარაჯმა და მართალია, ნაწილების ჩამოსვლის შესახებ მხოლოდ ტაქსის მძღოლებმა არ იცოდნენ, მაგრამ დარაჯის ვერსია გადასამოწმებელი იყო, მით უმეტეს, რომ მას მანქანის ნომერი კარგად ახსოვდა. ძალოვნები ტაქსის მფლობელის მოსაძებნად წავიდნენ და მალევე იპოვეს კიდეც, თუმცა მან ხელები გაშალა, მე რა შუაში ვარ, ჩემი მანქანა მეორე დღეა, მეგობარს ჰყავს, მისი გაფუჭებულია და ფული სჭირდებოდა, ამიტომ ვათხოვე, დღეს დილით დამიბრუნა და თუ რამე გაფუჭდა, იმას მოჰკითხეთო. ოპერმუშაკები მეგობრის სანახავად წავიდნენ, თუმცა შინ არავინ დახვდათ და განყოფილებაში დაბრუნდნენ. მთავარი სიურპრიზიც იქ ელოდათ.

„დიახ, ტაქსი მე მყავდა, საწყობიც მე გავქურდე, ფული მჭირდებოდა ძალიან და ნაწილები ერთბაშად, 30 ათასად გავყიდე. არ ვიცი, ვინ იყიდა, სომეხი თუ აზერბაიჯანელი იყო და არც სახელი მიკითხავს, არც – გვარი. ეგ კაცი რამდენიმე დღის წინ ტაქსში ჩამიჯდა, ვისაუბრეთ, სწორედ მაშინ მთხრა, ნაწილებში დიდ ფულს გადავიხდიო და რადგან ფული მჭირდებოდა, მოვიპარე და გავყიდე. ფული უკვე დავხარჯე, ვალი მქონდა და გადავიხადე, ვისი ვალი იყო, ვერ გეტყვით და ქურდობაზე რამდენიც გსურთ, იმდენი მომისაჯეთ“, – ამბობდა განყოფილებაში თავის ფეხით მისული მამაკაცი.

ყველაფერი თითქოს მარტივი და ლოგიკური იყო, მაგრამ საგამოძიებო ექსპერიმენტი მაინც ჩაატარეს. ეჭვმიტანილი შემთხვევის ადგილზე მიიყვანეს, სადაც მან დაადასტურა, რომ საწყობს მთელი დღე უთვალთვალებდა, მერე დაელოდა, როცა დარაჯი დაიძინებდა.

„ბოქლომი ლომით გავტეხე, ლომზე ნაჭერი მქონდა დახვეული და ამიტომ, უხმაუროდ მოვახერხე, ნაწილები მალე ჩავტვირთე მანქანაში და ერთ საათში გავყიდე კიდეც. ამიტომ, ჩემს მეგობარს, ვისგანაც მანქანა ვითხოვე, არაფერი დაუშავებია და გთხოვთ, მას ამ ამბავში ნუ გარევთ“, – განაცხადა ეჭვმიტანილმა.

„ლომზე დახვეული ნაჭერი რა ფერის იყო“, – მოულოდნელად იკითხა გამომძიებელმა და ყველამ დაინახა, როგორ დაიბნა ეჭვმიტანილი, მერე კი მშვიდად თქვა, ღამე იყო და არ გამირჩევიაო. ამასობაში, შემთხვევის ადგილზე მისი ცოლი მოვარდა და წივილ-კივილი ატეხა. ის ძალოვნებს კი არა, ქმარს ეჩხუბებოდა, თავს რატომ იღუპავ, ეგებ, მითხრა, რატომ იბრალებ იმას, რაც არ ჩაგიდენიაო, მაგრამ კაცი ჯიუტად იმეორებდა, საწყობი მე გავქურდეო.

„არ არსებობს, დანაშაული მას ჩაედინა. გუშინ ღამე სახლში არ იყო, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ახლა მითხრეს, მეგობრის მანქანით მოძრაობდაო და რატომ უნდა ევლო იმით, როცა თავისი ტაქსი ჰყავს? ჩვენი მანქანა არც გაფუჭებულია და არც უქმად დგას, მუდმივად ტაქსაობდა“, – ქალი არეულად კი საუბრობდა, მაგრამ მისი სიტყვები აშკარად საყურადღებო იყო.

ამასობაში, გამომძიებლებმა დაკავებულის მეზობლებიც დაჰკითხეს, რომლებმაც აღიარეს, რომ საღამოს სატაქსაოდ კაცი საკუთარი ტაქსით გავიდა და ნათხოვარი ტაქსი არ ჰყოლია. სამართალდამცავები იმ მძღოლს მიადგნენ, რომელიც ამტკიცებდა, ჩემი მანქანა ჰყავდა წაყვანილიო. კაცი შინ ახალგაზრდა ქალთან ერთად იყო, რომელიც, უბრალოდ, მეგობრად გააცნო.

„მე არ ვიცი, რას ამბობს დაკავებულის ცოლი, მე ის ვიცი, რომ მან ჩემი მანქანა წაიყვანა, მე კი, მთელი ორი დღე, სწორედ ამ გოგონასთან ერთად ვიყავი, რასაც დაგიდასტურებთ კიდეც“, – ჯიუტად გაიმეორა კაცმა და გოგონამაც თავი სასწრაფოდ დააქნია, კი, ჩემთან იყოო.

ამასობაში, დაკავებულის პირადი საქმის შესწავლა დაიწყო და გაირკვა, რომ ოთხი წლის წინ, ის ცოლ-ქმარს დაეჯახა, მამაკაცი ადგილზე მოკვდა, ორსული ქალი კი გადარჩა, მაგრამ მუცელი მოეშალა. კაცს მხოლოდ ორი წელი ერთადერთი მიზეზის გამო მისცეს – ცოლ-ქმარი აკრძალულ ადგილზე, ღამის საათებში გადარბოდა და შეჯახება გადაჭარბებული სიჩქარის გამო არ მომხდარა, ტაქსი მოსახვევიდან გამოვიდა და შეჯახებაც მაშინვე მოხდა, რეაგირებას, ალბათ, ვერავინ მოასწრებდა. ძალოვნებმა ყოველი შემთხვევისთვის, დაზარალებული ქალი მონახეს და...

„იმ ავარიის შემდეგ, რამდენიმე ოპერაცია დამჭირდა. ახლაც მჭირდება, მაგრამ ფული არ მქონდა, 10 ათასი უნდა ოპერაციას. დილით, კარზე დააკაკუნეს, ეს კონვერტი და ფული დამხვდა, ზუსტად 10 ათასი, კონვერტში კი ეწერა, ბოდიში, რომ მხოლოდ ეს შემიძლია, მე ახლა მშვიდად მოვკვდები. მივხვდი, ვისი წერილიც იყო, მინდოდა, ფული დამებრუნებინა, ვერ მოვიცალე და აუცილებლად დავაბრუნებ“, -განაცხადა ქალმა.

სამართალდამცავები დაკავებულის დასაკითხად წავიდნენ და მან აღიარა, რომ ლეიკემიის ბოლო სტადია ჰქონდა, რომ დიაგნოზი ზუსტი იყო და მეტს არაფერს იტყოდა. გამომძიებლები ახლა იმ კლინიკაში წავიდნენ, სადაც ეს დიაგნოზი დასვეს და ექიმმაც დაადასტურა, კი, გადარჩენის შანსი არ აქვს, ორი თვეა ვიკვლევთო. როცა ძალოვნები საავადმყოფოდან წამოსვლას აპირებდნენ, ექიმის ოთახში მოულოდნელად მედდამ შეიხედა და... ეს სწორედ ის გოგო იყო, რომელიც ჯიუტად ამტკიცებდა, შემთხვევის ადგილზე მყოფი ტაქსის ნამდვილი მძღოლი ორი დღე ჩემთან იყოო. გოგონას სახე შეეცვალა, ცივად გატრიალდა, მაგრამ სამართალდამცავები უკან გაჰყვნენ და ბორკილები დაადეს. გოგომ ტირილი დაიწყო, ოღონდ არ დამიჭიროთ, ყველაფერს გეტყვითო.

„ის ტაქსისტი ჩემი საქმროა. უფრო სწორედ, მე მგონია, რომ საქმროა, თორემ ამდენი ხანია ერთად ვართ და ცოლად მოყვანაზე სიტყვაც არ დასცდენია. მან მაიძულა, რომ ანალიზის პასუხები გამეყალბებინა, სხვა, მართლა დაავადებული პაციენტების სისხლს ვუტარებდი ანალიზს და სინამდვილეში, დაკავებულს არაფერი სჭირს. არ ვიცოდი, რისთვის უნდოდა, მაგრამ ახლა ვხვდები, მას თავის თავზე ააღებინა დანაშაული, თავად კი, მოპარულ ნაწილებს გაყიდის“, – განაცხადა გოგონამ.

როცა გამომძიებლებმა დაკავებულს უთხრეს, რა მახეში გაება და სინამდვილეში არაფერი სჭირდა, მან ჯერ არ დაიჯერა, მერე კი ტირილი დაიწყო და ყველაფერს დეტალებში მოჰყვა.

„რა თქმა უნდა, არაფერი მომიპარავს. ჩემმა მეგობარმა მითხრა, მაინც კვდები, საწყობს მე გავქურდავ, შენ აიღე თავზე და ამ საქმეში 10 ათასს მოგცემო ანუ ზუსტად იმდენს, რამდენსაც ვეძებდი იმისთვის, რომ იმ უბედურ ქალს დავხმარებოდი“, -განაცხადა მან და რაღა თქმა უნდა, ის პატიმრობიდან გაათავისუფლეს, ნამდვილ დამნაშავეს კი, ექვსი წელი მისცეს, მისი ავტოფარეხიდან მანქანის ნაწილების თითქმის სრულად ამოიღეს და... ცოტა ხნით, მაგრამ მაინც, „წითელმა ტაქსებმა“ ამოისუნთქეს.

ბათო ჯაფარიძე

ისე ხდება ხოლმე, რომ შვილები მშობლების გარდაცვალების შემდეგ ვხვდებით, რაოდენ ძვირფას ადამიანებს ვკარგავთ და მერე ვიწყებთ მათი ნაქონი ნივთების შენახვას, მოვლას, ტირილსა და გოდებას. მერე ვხვდებით, რომ მოხუცი დედ-მამა უზარმაზარი იმედია, იმის მიუხედავად, შეუძლიათ თუ არა მათ შრომა და შვილების დახმარება. სწორედ მერე ვიაზრებთ ხოლმე, რომ ჩვენს ცხოვრებაში ისინი თუ არ იყვნენ მთავარი ადამიანები, ჩვენ ნამდვილად ვიყავით მათთვის მთავარი და თუ რამეს აკეთებდნენ და შექმნეს, მხოლოდ ჩვენთვის...

რეცეპტების გამქრალი წიგნისა და 50-ათასიანი მარკის საიდუმლო

უცნაური კრიმინალი, რომელსაც დამნაშავე არ ჰყავდა

პოლიციის განყოფილებაში ახალგაზრდა კაცი მივიდა და მეტად უცნაური განცხადება გააკეთა. ის სამართალდამცავებს სამზარეულოს რეცეპტების წიგნის პოვნას სთხოვდა.

„ცოტა გრძელი ისტორიაა, მაგრამ უნდა მოგიყვეთ. ორი თვის ვიყავი, როცა ავტოავარიის შედეგად, მამა გარდამეცვალა. ასე, სამი წლის ვიქნებოდი, როცა დედა მეორედ გათხოვდა და ის, რომ ჩემი გამზრდელი კაცი ნამდვილი მამა არ იყო, დაახლოებით, ათი წლის ასაკში გავიგე, მეზობელმა წამომაძახა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. მერე და მერე აღვიქვი ყველაფერი და სიმართლე გითხრათ, არც მაგაზე ვინერვიულე იმიტომ, რომ ის კაცი ზუსტად ისე მექცეოდა და მზრდიდა, როგორც ნამდვილი მამა. ჩემს მშობლებს მეტი შვილი არ ჰყოლიათ და ამიტომ, თუ რამე სიკეთე შეიძლება მისცე ბავშვს, ყველაფერი მომცეს. საუკეთესო განათლება, ტანსაცმელი, დასვენება, მოკლედ, ყველაფერი. მერე, სასწავლებლად საზღვარგარეთ წავედი და სამსახურიც იქ ვიშოვე, კარგი სამსახური. მშობლების წაყვანა მინდოდა, მაგრამ უარი მითხრეს, არ წამოვიდნენ. ფინანსურად არასდროს გვიჭირდა, ჩემს მამობილს ფული ბიზნესში ჰქონდა ჩადებული, მერე, ასაკი რომ მოემატა, უარი თქვა, ფული აიღო და ალბათ, სახლში შეინახა. ალბათ იმიტომ, რომ ბანკს არ ენდობოდა. რამდენიმე წლის წინ, დედა სიმსივნით გარდაიცვალა, რა თქმა უნდა, გასვენებაზე ჩამოვედი და მამინაცვალს, რომელსაც მამას ვეძახდი, კვლავ შევთავაზე, ჩემთან ერთად წამოსულიყო, მაგრამ ისევ უარი მითხრა. მე ევროპაში დავბრუნდი, თუმცა ერთმანეთთან, პრაქტიკულად, ყოველდღიური ურთიერთობა გვქონდა, ვურეკავდი, მირეკავდა. ასე, ერთი წლის წინ მითხრა, რომ ვიღაც ქალთან ერთად ცხოვრობდა და დედის ხსოვნისთვის შეურაცხყოფა რომ არ მიეყენებინა, საცხოვრებლად თავის სახლში გადავიდა. მისი კარგად მესმოდა, მოვლა სჭირდებოდა, სხვა თუ არაფერი. ახლა კი, ისიც დაიღუპა და ჩამოვედი. დავასაფლავე, მაგრამ ის, რაც მინდოდა, ვერსად ვიპოვე. დედა კარგი მზარეული იყო, ძველი წიგნი ჰქონდა, სამზარეულოს რეცეპტების წიგნი, სადაც საკუთარი ხელით ჰქონდა ჩაწერილი სხვა რეცეპტებიც და შენიშვნებიც. ეს ჩემთვის ძალიან ძვირფასი რელიქვიაა, მაგრამ გაქრა, ვერ ვნახე. მე ერთადერთი მემკვიდრე ვარ, ორივე ბინა ჩემია და ერთ ბინას მივცემ მას, ვინც წიგნს იპოვის“, – განაცხადა მოსულმა.

სამართალდამცავებს გაეცინათ მის სიტყვებზე, რადგან საქმის გახსნის სანაცვლოდ ბინის შეთავაზება, ცოტა არ იყოს, აბსურდულად და ბრიყვულადაც კი ჩანდა, მაგრამ ახალგაზრდა კაცმა განცხადება ოფიციალურად დაწერა და მეტი სიმძაფრისთვის, ისიც მიუთითა, რომ წიგნის გარდა, დაკარგული იყო საკმაოდ სოლიდური თანხა, რომელიც წესითა და რიგით, მამინაცვლას უნდა ჰქონოდა. აბა, რა ძნელი მისახვედრია, რომ პირველი ეჭვმიტანილი სწორედ ის მეგობარი ქალი იყო, რომელზეც მომჩივანიც საუბრობდა და რომლის არსებობის შესახებ მეზობლებმაც იცოდნენ.

„შემთხვევით გავიგე, რომ ის კაცი გარდაიცვალა. ნახევარ წელზე მეტია, მასთან ურთიერთობა აღარ მაქვს, შესაბამისად, არც ფულის არსებობის შესახებ ვიცი რამე, არც ძველი წიგნები მომიპარავს და ზოგადად, საკმარისი ცოდნა მაქვს იმისთვის, რომ საჭმელი გავაკეთო და სხვისი რეცეპტების წიგნი არაფერში მჭირდება“, – განაცხადა ქალმა, თუმცა საქმე არცთუ მარტივად იყო – ერთ-ერთი მეზობელი ამტკიცებდა, ეგ ქალი ექვსი თვის წინ კი არა, ორი თვის წინ ვნახე და ვნახე არა კაცის, არამედ, ქალის ბინაშიო. ჰო, მომჩივანის დედის მეზობელი ამტკიცებდა, ეგ ქალი მოსული იყო, კარი გასაღებით გააღო, რაც არ გამკვირვებია, რადგან ადრეც ყოფილა მოსულიო. გამომძიებლებმა პროკურორისგან ქალის ბინის ჩხრეკის ორდერი მოიპოვეს და შინ მოულოდნელად დაადგნენ. თან ახალგაზრდა კაციც წაიყვანეს, ეგებ, ისეთი რამ იდოს ბინაში, რასაც შენ იცნობ და ან ადვილად ამოიცნობო.

ბინაში შესვლისთანავე, ახალგაზრდა მამაკაცმა იქვე მდგარ ლარნაკს დაადო ხელი, ეს ნამდვილად ჩვენია, მეტიც, ბავშვი რომ ვიყავი, შიგნით წებო ჩავასხი და გაწმენდა შეუძლებელი იყო, ამიტომ შიგნით გამხმარი წებო იქნებაო და მართალიც აღმოჩნდა. ბინაშივე იპოვეს რეცეპტების ძველი წიგნი და ბიჭი სიხარულისგან ხტოდა. ამას გარდა, კიდევ ორი ძველი წიგნი მონახეს.

„იმ ბინაში ღირებული მხოლოდ ესენი მეგულებოდა. რეცეპტების წიგნი ერთადერთი რამის – სიძველის გამო მინდოდა, ეგებ, ნორმალური თანხა მოეცათ, მაგრამ ყველამ უარი თქვა, ხელით ძალიან ბევრი ჩანაწერია გაკეთებულიო. ეს ლარნაკიც არავინ იყიდა, შიგნით წებო ასხიაო, გადაყრა მინდოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თქვენ დამკითხეთ, მაგრამ ვერ მოვასწარი“, – თავს იმართლებდა ქალი.

ახალგაზრდა კაცმა გამომძიებლებს ლამის დაუჩოქა, გემუდარებით, არ დააკავოთ, მიპატიებია, მთავარია, რასაც ვეძებდი, ვიპოვეო, მაგრამ სამართალდამცავებს ქალთან სხვა კითხვებიც ჰქონდათ და ის „სხვა“ ფულს ეხებოდა.

„მუდმივად იმეორებდა, რომ უზარმაზარი ქონების პატრონი იყო, მაგრამ იმასაც ამბობდა, შენნაირი შტერი ქალი ვერასდროს მიხვდება, რა მაქვს სახლში ღირებულიო. რეალურად, ამის ნიადაგზე ვიჩხუბეთ, სულ შტერს მეძახდა და ამიტომაც დავშორდით. დამიჯერეთ, ის სახლი არაერთხელ მაქვს თავიდან ბოლომდე გაჩხრეკილი და არაფერი მინახავს ისეთი, რაც ღირებული იქნებოდა. ბანკში ანგარიში არ ჰქონია, ბარათიც კი არ ჰქონდა ბანკის და არ ვიცი, ფული სად და რაში დააბანდა“, – ამბობდა ქალი.

ახალგაზრდა კაცი კი ამბობდა, ფული არ მაინტერესებს, რაც მინდოდა, ვიპოვე და ახლა ის მითხარით, ბინა რომელს გადაგიფორმოთო, მაგრამ სამართალდამცავებს მისი სიტყვები სასაცილოდ არ ეყოთ და შესთავაზეს, ეგებ, სახლი ერთად დავათვალიეროთ და იმას მივხვდეთ, რასაც ეს „შტერი“ ქალი ვერ მიხვდაო. სხვათა შორის, გამომძიებლებსაც სერიოზული ეჭვი ჰქონდათ, რომ ბინაში მარტივად ვერაფერს მიაგნებდნენ. ახალგაზრდა ისე იყო სიხარულით თავბრუდახვეული, რომ ყველაფერზე თანახმა გახლდათ და სამართალდამცავებს შინისკენ წაუძღვა. ძალოვნები ოთახებში გადანაწილდნენ და ფრთხილად დაიწყეს ბინის თვალიერება. როგორც გარდაცვლილის გერი ამბობდა, მათ უნდა მოენახათ რამე ნივთი, რომელიც, ყველაზე ცოტა, 50 ათასი დოლარი ეღირებოდა ანუ მისი აზრით, ეს იყო ის მინიმუმი, რომელიც მამინაცვალმა ბიზნესის წილის დათმობის შედეგად მიიღო და იქვე დააყოლა, არ გამიკვირდება, თუ ასი ათასი და უფრო მეტი იქნებაო.

დაახლოებით, ორსაათიანმა ჩხრეკამ შედეგი არ მოიტანა, თანაც სამართალდამცავებს გამოცდილი ხელი და თვალი ჰქონდათ, ამიტომ რამე ფასეულისთვის მარტივად უნდა მიეგნოთ. ორი საათის შემდეგ, უკვე კედლებს ჩამოუარეს კაკუნით, ეგებ, სამალავი კედელშიაო, კარადაც დაშალეს სამალავის ძებნაში, მაგრამ არსად არაფერი იყო. გამომძიებლები იმედგაცრუებულები გაბრუნდნენ და თან ბიჭს უთხრეს, ეგებ, განცხადება გაიტანო, რადგან იქ ფულის პოვნაც გიწერია და გაუხსნელ საქმედ დაგვეკიდებაო, რაზეც ახალგაზრდა კაცი მარტივად დათანხმდა.

ეს ამბავი დავიწყებას მიეცემოდა, რომ არა ერთი უცნაური შემთხვევა. ახალგაზრდა კაცი ისევ ევროპაში დაბრუნდა და თან წაიღო ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა და რაც მშობლებს გაახსენებდა. მათ შორის იყო წერილებიც, რომელიც ექვსი თვის შემდეგ, შეყვარებულს ანახა და უთხრა, სატელეფონო საუბრების გარდა, ერთმანეთს წერილებსაც ვწერდით და ასე მგონია, ამ წერილებს მშობლების სუნი აქვსო. მისი შეყვარებული კი, ფილატელისტი გახლდათ და როცა ერთ-ერთ წერილზე დამაგრებულ მარკას შეხედა, თვალები შუბლზე აუვიდა.

„ჩემო მეგობრებო, ამ წერილს იმიტომ გიგზავნით, რომ ჩემი მამობილის ფულის საიდუმლო ამოუხსნელ გამოცანად არ დარჩეს თქვენთვის. გავარკვიეთ, რომ ბიზნესიდან აღებული თანხით, მან ძვირადღირებული მარკა შეიძინა და ერთ-ერთ წერილზე სიმბოლურად მიამაგრა. მისი რეალური ფასი ჩემმა შეყვარებულმა იცოდა და მარკა აქვე, აუქციონზე, 80 ათას დოლარად გავყიდეთ“, – დაახლოებით, ამ შინაარსის წერილი გამოუგზავნა ბიჭმა სამართალდამცავებს.

პროკურატურამ უხარისხოდ აშენებული საცხოვრებელი ფართების მოქალაქეებისთვის გადაცემის ფაქტზე, ბრალდება წარუდგინა ვაშლიჯვარში, იმ კორპუსის მშენებელი კომპანიის დამფუძნებელს, რომელსაც ბზარები გაუჩნდა

საქართველოს პროკურატურამ, 52 მოქალაქისთვის უხარისხოდ აშენებული საცხოვრებელი ფართების გადაცემის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას საქართველოს გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, შპს „თორის“ დამფუძნებელმა, თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი ააშენა, რასაც მოგვიანებით ბზარები გაუჩნდა. საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად კი, კორპუსის მზიდ კონსტრუქციაში გამოყენებული აღმოჩნდა მინაბოჭკოვანი არმატურა, რასაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. აღნიშნული ქმედებით, ბრალდებულმა 52 მოქალაქეს, დაახლოებით, 10 179 224 ლარის მატერიალური ზიანი მიაყენა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ შპს „თორის“ დამფუძნებელმა, თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი ააშენა და დაინტერესებულ მოქალაქეებთან ნასყიდობის ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ, საცხოვრებელი ფართები სარგებლობაში გადასცა. 2022 წლიდან, საცხოვრებელი კორპუსის მზიდ კონსტრუქციაზე სხვადასხვა მიმართულების ბზარები გაჩნდა, ხოლო მოგვიანებით ბეტონის რღვევა განვითარდა. საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, კორპუსის მზიდ კონსტრუქციაში გამოყენებულია მინაბოჭკოვანი არმატურა, რასაც არ ითვალისწინებს კანონმდებლობა და წინააღმდეგობაში მოდის მთავრობის დადგენილებასა და სამშენებლო ნორმებთან. კორპუსის დეფორმაციები ძალიან მძიმე დაზიანებათა ხარისხს განეკუთვნება და ექსპლუატაციისთვის უვარგისია. აღნიშნული ქმედებით, ბრალდებულმა 52 მოქალაქეს, დაახლოებით, 10 179 224 ლარის მატერიალური ზიანი მიაყენა, რადგან ვერ უზრუნველჰყო მათთვის საცხოვრებლად ვარგისი ფართების გადაცემა. სამართალდამცველებმა ბრალდებული 29 აგვისტოს, სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს პროკურატურამ ბათუმში მომხდარი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ბათუმში მომხდარი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას საქართველოს გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქემ, ამავე ქვეყნის სამი მოქალაქის მისამართით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა განახორციელა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 7 აგვისტოს, ბათუმში, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქემ, ასევე თურქეთის რესპუბლიკის სამი მოქალაქის მიმართულებით, ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალჯერადი გასროლა განახორციელა. სროლის შედეგად, ერთ-ერთმა დაზარალებულმა და იქვე შემთხვევით მყოფმა საქართველოს სამმა მოქალაქემ სხეულის სხვადასხვა არეში დაზიანებები მიიღეს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებული საზღვრის გადაკვეთისთვის დადგენილი წესების დარღვევით, უკანონოდ შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა ორზე მეტი პირისა და ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას) 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება) და 344-ე მუხლის პირველი ნაწილით (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) დაუსწრებლად წარედგინა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ, ბრალდებულს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

პირებს, რომლებიც საზღვარგარეთ მყოფ კრიმინალურ ავტორიტეტებს დიდი ოდენობით თანხების გამოძალვაში ეხმარებოდნენ, პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში დახმარების, ასევე სხვისი ნივთის განადგურების ფაქტებზე, კიდევ სამ პირს ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათი ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 25-181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

მათივე ინფორმაციით, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ერთ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული, ხოლო ორი ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით პროკურატურამ სასამართლოს უკვე მიმართა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, საზღვარგარეთ მყოფ პირს, მარნეულის მუნიციპალიტეტში დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ეხმარებოდნენ, რა დროსაც დაზარალებულს სიცოცხლის მოსპობის და ნივთების განადგურების მუქარით, დიდი ოდენობით თანხის გადახდა მოსთხოვეს, უარის მიღების შემდეგ კი ავტომანქანა დაუწვეს.

დაკავებულებს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (გამოძალვაში დახმარება, დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების და მისი ნივთის განადგურების მუქარა, ჩადენილი ჯგუფურად, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით), 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სხვისი ნივთის განადგურება ჯგუფურად, ცეცხლის წაკიდებით) წარედგინათ.

აღსანიშნავია, რომ ამავე სისხლის სამართლის საქმეზე, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, 16 აგვისტოს, სასამართლომ ორ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

კარწახში ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები აღმოაჩინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, საბაჟო-გამშვებ პუნქტში „კარწახი“, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დეტალური დათვალიერების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღი და 152 ცალი ვაზნა აღმოაჩინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ცნობით, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

ოჩხიკიძეს ოქროს მედალი დაუბრუნეს – გადაწყვეტილება საბოლოოა

პარიზში მიმდინარე პარაოლიმპიურ თამაშებზე, პირველი ოქროს მედალი მოვიპოვეთ. ზოგადად, პარაოლიმპიადაზე, ქართველ სპორტსმენებს აქამდე მხოლოდ ერთი ოქრო ჰქონდათ მოპოვებული – 2016 წელს, ეს ძიუდოისტმა ზვიად გოგოჭურმა რიოში მოახერხა. მოკლედ, ოჩხიკიძემ ბირთვი 9.66 მეეტრზე ჰკრა და ოლიმპიურ ოქროსთან ერთად, ოლიმპიადისა და მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა, თუმცა მეორე ადგილზე გასულმა მაროკოელმა და მესამეადგილოსანმა ირანელმა, მისი შედეგი გააპროტესტეს, აქაოდა, არასწორად ისროლაო. მსაჯებმა ვიდეო-ჩანაწერი ნახეს და ოჩხიკიძეს მოპოვებული ოქრო ჩამოართვეს, თუმცა ქართული მხარის აპელაციის შემდეგ, ძველი შედეგი ძალაში დატოვეს და ოჩხიკიძეს ღირსეულად მოპოვებული ოქრო, რეკორდებთან ერთად დაუბრუნეს.

ოჩხიკიძის ოქრომდე კი იყო პარატაეკვანდოისტის, ანა ჯაფარიძის ბრინჯაო. ქართველმა გოგონამ დამაჯერებლად იბრძოლა და პირველი ოლიმპიური მედალიც ალალად მოიპოვა.

გოგლიჩიძის კარგი დებიუტი, ბუდუს მორიგი გოლი და მიქაუტაძის უიღბლობა – მიეცით კვარაცხელიას 15 მილიონი

ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლიმ“ მორიგი მატჩი მოიგო. მოიგო წვალებით, მოიგო მას შემდეგ, რაც მეტოქის მეკარე გააძევეს და ვინაიდან სტუმრებს შეცვლის უფლება აღარ ჰქონდათ, კარში ფეხბურთელი ჩადგა. სწორედ ამის შემდეგ გაიტანეს ნეაპოლელებმა 2 გოლი და მაშინ, როცაყველას ეგონა, რომ მატჩის გმირად გუნდში ახლახან გადასულ და სადებიუტო გოლის გამტან რომელუ ლუკაკუს გამოაცხადებდნენ, ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა, საუკეთესოდ კვარაცხელია აღიარეს. ქართველმა მართლაც საოცარი მატჩი ჩაატარა და მთელი გუნდი რეალურად მასზე იყო აწყობილ-დაწყობილი. გულშემატკივრებმა კლუბის პრეზიდენტს, აურელიო დე ლაურენტისს მოსთხოვეს, ხვიჩა ნებისმიერ ფასად შეინარჩუნე და ხელფასის სახით, წელიწადში, 15 მილიონი მიეციო. არადა, დე ლაურენტისი სამჯერ ნაკლებს სთავაზობს.

სერია A-ში დებიუტი ჰქონდა საბა გოგლიჩიძეს. 20 წლის ქართველი „ემპოლიში“ მიმდინარე წლის იანვარში გადავიდა, სრული მატჩი კი მხოლოდ ახლა ჩაატარა და თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. იმედი გვაქვს, რომ საბა ძირითადში მომდევნო ტურშიც გამოჩნდება და... „ემპოლიში“ იჯარის წესით გადასულ საბა საზონოვთან ერთად, დაცვაში კარგ დუეტს შექმნის.

ოთხი ტურის შემდეგ, ოთხი გატანილი გოლით, მეორე ბუნდესლიგის ლიდერთა შორისაა ბუდუ ზივზივაძე. მისი გოლი „ბრაუნშვაიგთან“ მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა და ბუდუმ კლუბს სამი ქულა მოუტანა.

გიორგი მიქაუტაძის „ლიონმა“ „სტრასბურგს“ საოცარი მატჩი მოუგო. ლიონელები 1:3-ს აგებდნენ და 10 წუთში 3 გოლი გაიტანეს, თუმცა ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც მოედნიდან ქართველი შემტევი გავიდა. არადა, მიქაუტაძემ მატჩი ძირითადში დაიწყო და ვინ იცის, მომდევნო ტურში, მწვრთნელმა, შესაძლოა, თავის გადაწყვეტილებას გადახედოს.

თუშიშვილი ექვსი თვით მოკვეთეს



ალბათ, ყველას გემახსოვრებათ, პარიზის ოლიმპიადაზე, მძიმეწონოსან ძიუდოისტთა შორის გამართული მეოთხედფინალი, როცა მარცხის შემდეგ, ძიუდოისტებს შორის მცირე ინციდენტი მოხდა, რის შემდეგაც შეჯიბრებიდან ქართველი საერთოდ მოხსნეს. ისიც ითქვა, რომ რინერისთვის წიხლის წარტყმას ქართველს არც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია აპატიებდა და ასეც მოხდა.

გასულ უქმეებზე გამართული სადისციპლინო კომიტეტის სხდომის შემდეგ, გადაწყდა, რომ თუშიშვილი ტატამზე ექვსი თვის განმავლობაში ვეღარ გავა და ყველა ოფიციალურ ტურნირს გამოტოვებს. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ გურამი აქტიურ სპორტს 2025 წლის 25 თებერვლამდე დაემშვიდობა.

ნაკრები სექტემბრის მატჩებისთვის დაირაზმა

საქართველოს ეროვნული ნაკრები 7 სექტემბერს, ერთა ლიგის 2024-25 წლების გათამაშებას იწყებს. ამ დღეს, ჩეხეთის ნაკრებს ვაკეში, „მიხეილ მესხზე“ ვმასპინძლობთ, 10 სექტემბერს კი, ჩვენი გუნდი უკვე ალბანეთში გაემგზავრება და იქ ითამაშებს. რა თქმა უნდა, ორივე შეხვედრაში გულშემატკივარი ქულათა მაქსიმუმს ითხოვს, მაგრამ ვაღიაროთ, რომ იოლი გასეირნება არც შინ გველის და არც ტირანაში. ვილი სანიოლმა ამ შეხვედრებისთვის ნაკრების 23 ფეხბურთელს უხმო.

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი), გიორგი ლორია („ომონია“, კვიპროსი), ლუკა გუგეშაშვილი („პანსერაიკოსი“, საბერძნეთი);

მცველები: გურამ კაშია („სლოვანი“, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე („კრაკოვია“, პოლონეთი), გიორგი გველესიანი („პერსეპოლისი“, ირანი), ლაშა დვალი („აპოელი“, კვიპროსი), ლუკა ლოჩოშვილი („კრემონეზე“, იტალია), გიორგი გოჩოლეიშვილი („კოპენჰაგენი“, დანია), ირაკლი აზაროვი („შახტარი“, უკრაინა), ლუკა გადრანი („ქაირათი“, ყაზახეთი), ჯიმი ტაბიძე („დინამო“, მაჰაჩყალა, რუსეთი);

ნახევარმცველები: გიორგი ჩაკვეტაძე („უოტფორდი“, ინგლისი), ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია), გიორგი ქოჩორაშვილი („ლევანტე“, ესპანეთი), სანდრო ალთუნაშვილი („ვოლფსბერგერი“, ავსტრია), შოთა ნონიკაშვილი („ჩერკასი“, უკრაინა), გიორგი წიტაიშვილი („გრანადა“, ესპანეთი), საბა ლობჟანიძე („ატლანტა იუნაიტედი“, აშშ), ზურიკო დავითაშვილი („სენტ ეტიენი“, საფრანგეთი);

თავდამსხმელები: გიორგი მიქაუტაძე („ლიონი“, საფრანგეთი), ბუდუ ზივზივაძე („კარლსრუე“, გერმანია), ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“, იტალია).

ჩემპიონთა ლიგა დალაგდა და... ამას თუ დალაგება ჰქვია!

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშება ახალი ფორმატით გაიმართება და ასე იქნება მომაავალშიც. უეფას წარმომადგენლები კი გვიმტკიცებენ, ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო დანაკარგი იქნებაო, მაგრამ რატომღაც გვგგონია, რომ ძველი ფორმატი სჯობდა. ახალი ფორმატის მიხედვით, თითო გუნდი, ექვსის ნაცვლად, რვა მატჩს გამართავს და აქედან ოთხჯერ შინ ითამაშებს, ოთხჯერ – სტუმრად, მაგრამ რვავე შემთხვევაში, სხვადასხვა მეტოქე ეყოლება.

ლიგის ახალი სეზონი 17 სექტემბერს დაიწყება და რვა ტურის შემდეგ, ერთიანი სატურნირო ცხრილით (?!) გაირკვევა პლეი-ოფის მონაწილეები. 1-8 ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად გავლენ 1/8ფინალში, 9-24 ადგილზე გასულები 1/8-ფინალის საგზურისთვის ორმატჩიან დუელში დაწყვილდებიან პლეი-ოფის პრინციპით, ხოლო 25-36 ადგილზე გასულები, ჩემპიონთა ლიგას ეთიშებიან ისე, რომ ევროპა-ლიგაზეც ვერ გადავლენ. ჰო, თუ აქამდე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი ახალ წლამდე სრულდებოდა ხოლმე, ახლა ე.წ. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური 29 იანვარს გაიმართება.

ჩემპიონთა ლიგის კალენდარი ასე გამოიყურება:

I ტური
იანგ ბოისი – ასტონ ვილა (17 სექტემბერი)
იუვენტუსი – პსვ ეინდჰოვენი (17 სექტემბერი)
მილანი – ლივერპული (17 სექტებერი)
ბაიერნი – დინამო ზაგრები (17 სექტემბერი)
რეალი – შტუტგარტი (17 სექტემბერი)
სპორტინგი – ლილი (17 სექტემბერი)
სპარტა – ზალცბურგი (18 სექტემბერი)
ბოლონია – შახტარი (18 სექტემბერი)
სელტიკი – სლოვანი (18 სექტემბერი)
ბრიუგე – დორტმუნდი (18 სექტემბერი)
მანჩესტერ სიტი – ინტერი (18 სექტემბერი)
პარი სენ-ჟერმენი – ჟირონა (18 სექტემბერი)
ფეიენოორდი – ლევერკუზენი (19 სექტემბერი)
ცრვენა ზვეზდა – ბენფიკა (19 სექტემბერი)
მონაკო – ბარსელონა (19 სექტემბერი)
ატალანტა – არსენალი (19 სექტემბერი)
ატლეტიკო – ლაიპციგი (19 სექტემბერი)
ბრესტი – შტურმი (19 სექტემბერი

II ტური
ზალცბურგი – ბრესტი (1 ოქტომბერი)
შტუტგარტი – სპარტა (1 ოქტომბერი)
არსენალი – პარი სენ-ჟერმენი (1 ოქტომბერი)
ლევერკუზენი – მილანი (1 ოქტომბერი)
დორტმუნდი – სელტიკი (1 ოქტომბერი)
ბარსელონა – იანგ ბოისი (1 ოქტომბერი)
ინტერი – ცრვენა ზვეზდა (1 ოქტომბერი)
პსვ ეინდჰოვენი – სპორტინგი (1 ოქტომბერი)
სლოვანი – მანჩესტერ სიტი (1 ოქტომბერი)
შახტარი – ატალანტა (2 ოქტომბერი)
ჟირონა – ფეიენოორდი (2 ოქტომბერი)
ასტონ ვილა – ბაიერნი (2 ოქტომბერი)
დინამო ზაგრები – მონაკო (2 ოქტომბერი)
ლივერპული – ბოლონია (2 ოქტომბერი)
ლილი – რეალი (2 ოქტომბერი)
ლაიპციგი – იუვენტუსი (2 ოქტომბერი)
შტურმი – ბრიუგე (2 ოქტომბერი)
ბენფიკა – ატლეტიკო (2 ოქტომბერი)

III ტური
მილანი – ბრიუგე (22 ოქტომბერი)
მონაკო – ცრვენა ზვეზდა (22 ოქტომბერი)
არსენალი – შახტარი (22 ოქტომბერი)
ასტონ ვილა – ბოლონია (22 ოქტომბერი)
ჟირონა – სლოვანი (22 ოქტომბერი)
იუვენტუსი – შტუტგარტი (22 ოქტომბერი)
პარი სენ-ჟერმენი – პსვ ეინდჰოვენი (22 ოქტომბერი)
რეალი – დორტმუნდი (22 ოქტომბერი)
შტურმი – სპორტინგი (22 ოქტომბერი)
ატალანტა – სელტიკი (23 ოქტომბერი)
ბრესტი – ლევერკუზენი (23 ოქტომბერი)
ატლეტიკო – ლილი (23 ოქტომბერი)
იანგ ბოისი – ინტერი (23 ოქტომბერი)
ბარსელონა – ბაიერნი (23 ოქტომბერი)
ზალცბურგი – დინამო ზაგრები (23 ოქტომბერი)
მანჩესტერ სიტი – სპარტა (23 ოქტომბერი)
ლაიპციგი – ლივერპული (23 ოქტომბერი)
ბენფიკა – ფეიენოორდი (23 ოქტომბერი)

IV ტური
პსვ ეინდჰოვენი – ჟირონა (5 ნოემბერი)
სლოვანი – დინამო ზაგრები (5 ნოემბერი)
ბოლონია – მონაკო (5 ნოემბერი)
დორტმუნდი – შტურმი (5 ნოემბერი)
სელტიკი – ლაიპციგი (5 ნოემბერი)
ლივერპული – ლევერკუზენი (5 ნოემბერი)
ლილი – იუვენტუსი (5 ნოემბერი)
რეალი – მილანი (5 ნოემბერი)
სპორტინგი – მანჩესტერ სიტი (5 ნოემბერი)
ბრიუგე – ასტონ ვილა (6 ნოემბერი)
შახტარი – იანგ ბოისი (6 ნოემბერი)
სპარტა – ბრესტი (6 ნოემბერი)
ბაიერნი – ბენფიკა (6 ნოემბერი)
ინტერი – არსენალი (6 ნოემბერი)
ფეიენოორდი – ზალცბურგი (6 ნოემბერი)
ცრვენა ზვეზდა – ბარსელონა (6 ნოემბერი)
პარი სენ-ჟერმენი – ატლეტიკო (6 ნოემბერი)
შტუტგარტი – ატალანტა (6 ნოემბერი)

V ტური
სპარტა – ატლეტიკო (26 ნოემბერი)
სლოვანი – მილანი (26 ნოემბერი)
ლევერკუზენი – ზალცბურგი (26 ნოემბერი)
იანგ ბოისი – ატალანტა (26 ნოემბერი)
ბარსელონა – ბრესტი (26 ნოემბერი)
ბაიერნი – პარი სენ-ჟერმენი (26 ნოემბერი)
ინტერი – ლაიპციგი (26 ნოემბერი)
მანჩესტერ სიტი – ფეიენოორდი (26 ნოემბერი)
სპორტინგი – არსენალი (26 ნოემბერი)
ცრვენა ზვეზდა – შტუტგარტი (27 ნოემბერი)
შტურმი – ჟირონა (27 ნოემბერი)
მონაკო – ბენფიკა (27 ნოემბერი)
ასტონ ვილა – იუვენტუსი (27 ნოემბერი)
ბოლონია – ლილი (27 ნოემბერი)
სელტიკი – ბრიუგე (27 ნოემბერი)
დინამო ზაგრები – დორტმუნდი (27 ნოემბერი)
ლივერპული – რეალი (27 ნოემბერი)
პსვ ეინდჰოვენი – შახტარი (27 ნოემბერი)

VI ტური
ჟირონა – ლივერპული (10 დეკემბერი)
დინამო ზაგრები – სელტიკი (10 დეკემბერი)
ატალანტა – რეალი (10 დეკემბერი)
ლევერკუზენი – ინტერი (10 დეკემბერი)
ბრიუგე – სპორტინგი (10 დეკემბერი)
ზალცბურგი – პარი სენ-ჟერმენი (10 დეკემბერი)
შახტარი – ბაიერნი (10 დეკემბერი)
ლაიპციგი – ასტონ ვილა (10 დეკემბერი)
ბრესტი – პსვ ეინდჰოვენი (10 დეკემბერი)
ატლეტიკო – სლოვანი (11 დეკემბერი)
ლილი – შტურმი (11 დეკემბერი)
მილანი – ცრვენა ზვეზდა (11 დეკემბერი)
არსენალი – მონაკო (11 დეკემბერი)
დორტმუნდი – ბარსელონა (11 დეკემბერი)
ფეიენოორდი – სპარტა (11 დეკემბერი)
იუვენტუსი – მანჩესტერ სიტი (11 დეკემბერი)
ბენფიკა – ბოლონია (11 დეკემბერი)
შტუტგარტი – იანგ ბოისი (11 დეკემბერი)

VII ტური
მონაკო – ასტონ ვილა (21 იანვარი)
ატალანტა – შტურმი (21 იანვარი)
ატლეტიკო – ლევერკუზენი (21 იანვარი)
ბოლონია – დორტმუნდი (21 იანვარი)
ბრიუგე – იუვენტუსი (21 იანვარი)
ცრვენა ზვეზდა – პსვ ეინდჰოვენი (21 იანვარი)
ლივერპული – ლილი (21 იანვარი)
სლოვანი – შტუტგარტი (21 იანვარი)
ბენფიკა – ბარსელონა (21 იანვარი)
შახტარი – ბრესტი (22 იანვარი)
ლაიპციგი – სპორტინგი (22 იანვარი)
მილანი – ჟირონა (22 იანვარი)
სპარტა – ინტერი (22 იანვარი)
არსენალი – დინამო ზაგრები (22 იანვარი)
სელტიკი – იანგ ბოისი (22 იანვარი)
ფეიენოორდი – ბაიერნი (22 იანვარი)
პარი სენ-ჟერმენი – მანჩესტერ სიტი (22 იანვარი)
რეალი – ზალცბურგი (22 იანვარი)

VIII ტური
ასტონ ვილა – სელტიკი (29 იანვარი)
ლევერკუზენი – სპარტა (29 იანვარი)
დორტმუნდი – შახტარი (29 იანვარი)
იანგ ბოისი – ცრვენა ზვეზდა (29 იანვარი)
ბარსელონა – ატალანტა (29 იანვარი)
ბაიერნი – სლოვანი (29 იანვარი)
ინტერი – მონაკო (29 იანვარი)
ზალცბურგი – ატლეტიკო (29 იანვარი)
ჟირონა – არსენალი (29 იანვარი)\
დინამო ზაგრები – მილანი (29 იანვარი)
იუვენტუსი – ბენფიკა (29 იანვარი)
ლილი – ფეიენოორდი (29 იანვარი)
მანჩესტერ სიტი – ბრიუგე (29 იანვარი)
პსვ ეინდჰოვენი – ლივერპული (29 იანვარი)
შტურმი – ლაიპციგი (29 იანვარი)
სპორტინგი – ბოლონია (29 იანვარი)
ბრესტი – რეალი (29 იანვარი)
შტუტგარტი – პარი სენ-ჟერმენი (29 იანვარი).

ენძელა

გოდერძი ჩოხელი

გაზაფხულის მზის სხივმა თოვლიან „მზორეს“ საკინძე ჩაუხსნა და შიგ ჩაუძვრა, გაღვიძებულმა მიწამ სიცოცხლე იგრძნო, ამოისუნთქა და ნეკნებს შორის, აქა-იქ კისკისით ჩაატარა ყინვისაგან მიძინებული თოვლის ნაკადულები, მზის სხივებზე რომ გამოიღვიძეს და ჩაიკისკისეს.

მიწამ თანდათან გადაიღეღა ჩამოხეული თოვლის საკინძე, გალხვა, ორთქლი ამოუშვა და მზის სხივებზე ახალი მოლი მოიქარგა. მერე ისე მძლავრად დაუწყო გულმა ბაგა-ბუგი, რომ მის მკერდში მიძინებულ ენძელას ხმაურზე გამოეღვიძა. ნამძინარევს ჯერ გაუკვირდა, რა სიბნელეაო, თვალები მოიფშვნიტა და, სინათლე რომ ვერ იგრძნო, სწრაფად ამოჰყო ახალმოქარგულ მოლზე თავი, მზის დანახვაზე დაიმორცხვა, მერე ხარბად რომ ჩაკოცნეს მზის სხივებმა, თანდათან გული მოეცა, ჯერ გაიღიმა, მერე კი ისე ყვითლად გადიღადღადა, რომ ვეღარ დაფარა მზისადმი სიყვარული, თანდათან ტანი აიყარა, მხრები შეარხია და მეზობელ ბალახებს გადაუჩურჩულა:

– მომილოცია, მეზობლებო, გაზაფხულის მოსვლა! – ბედნიერ ზაფხულს გისურვებთ, – გადმოუჩურჩულეს ბალახებმა და გაინაბნენ, ისე გაეკრნენ მიწას, რომ ენძელამ გაკვირვებულმა მიმოიხედა.

– რა ყელი მოგიღერებია, თავს ნუ იწონებ, თორემ დიდხანს არ შეგარჩენენ მაგ სილამაზეს, ხომ ხედავ, ჩვენი მტრები ჩვენსკენ მოდიან. ეგენი თუ დაეჩვივნენ, მორჩა, მერე ვერ დავესწრებით შემოდგომაზე ფერისცვალებას – ეჩურჩულებოდა მწვანე ბალახი ენძელას, ენძელას გაუკვირდა, რა მტერი, რომელი მტერიო და იმ მხარეს მიაყურა, ბალახმა რომ ანიშნა, ცხვრები მიდიოდნენ მათკენ და აჭრელებულ თოვლში ბალახს წიწკნიდნენ.

ერთი კი გაიკვირვა ენძელამ, რა უნდათ ამ ცხვრებს, რას ერჩიან ამ საწყალ ბალახსო, მაგრამ გაკვირვება აღარ დასცალდა, პატარა ბატკანმა ისე დააბიჯა ყვითელ ფოთლებზე უღონო ჩლიქი, რომ საბრალო ენძელას ასე ეგონა, ერთიანად დამემტვრაო ყველა სახსარი. კივილი უნდოდა, მაგრამ ისე შეეშინდა, რომ საცოდავად გაისუსა, ხედავდა, როგორ გლეჯდნენ ცხვრები კბილებით მის მეზობლებს, ესმოდა მათი კვნესა:

დაინახა, როგორი გამეტებით მოწყვიტეს თეთრმა კბილებმა ის მწვანე ბალახი, წეღან ენძელას რომ უთხრა – ყელს ნუ იღერებ, თორემ დიდხანს არ შეგარჩენენ მაგ სილამაზესო, მერე მასაც გადაავლო პატარა კრავმა თეთრი კბილები და დაენანა საბრალო ენძელას, მზე რომ ვეღარ დაინახა, იფიქრა, სამუდამოდ ვცილდებიო მის სითბოს, მაგრამ ბატკანი მხოლოდ გაეთამაშა, არც კი მოსვლია მისი შეჭმა აზრად და ენძელამ ისევ გაუცინა მზეს, ცხვრებმა კი გადაიარეს და დაჭრილ ბალახებს ჩლიქებით გამხვრიშებული თოვლი მიაფშვნეს.

გადარჩენილმა ბალახებმა თავები წამოსწიეს და მოწყვეტილ და-ძმებს საბრალოდ გადახედეს.

ენძელა იდგა და „ფერისცვალებაზე“ ფიქრობდა. უკვირდა ცხვრების საქციელი, მერე თავის დედას, მიწას ჩაეკითხა, – რატო მოგვეპყრნენო ასე შეუბრალებლად! – ბუნებამ ეგენი სხვის საჭმელად დაბადა, მე კი იმავე ბუნებისაგან ნაბრძანები მაქვს, თქვენ მაგათ საჭმელად დაგბადოთ და დაგზარდოთ, – ეუბნებოდა მშობელი მიწა ენძელას და უკვირდა ყვავილს – ნეტავ, რა ვალი მართებსო დედაჩვენს ბუნების.

აბა, სად ჰქონდა ენძელას იმდენი აზროვნების უნარი, რომ გაეგო, როგორ კვებავდა თავისივე მომავალს თავისი სხეულით. ყველაფერს დაწვრილებით ხომ არ მოუყვებოდა მშობელი მიწა, ესეო და ესეო – მე შენ გზრდი, შენ ცხვრები გჭამენ, ცხვრებს ადამიანები ჭამენ, ადამიანებს მე ვჭამ და ყოველ გაზაფხულზე იმითი ვზრდი შენს შთამომავალ ენძელასო, ასე რომ ეთქვა, მაინც ვერაფერს გაიგებდა ენძელა.

უთხრეს, ბუნებამ ასე დააწესაო და ენძელა თავისით მიხვდა, ალბათ, მზის სიყვარულიც ბუნებამ დამიწესაო. ამ აღმოჩენით გახარებულმა, ბალახებს ბრძენი კაცის სიდარბაისლით გადაულაპარაკა – მორჩით კვნესას, ბუნებას არაფერი აწყენინოთო. მთებიდან წამოქროლილმა ნიავმა მზეს ღრუბლის ნაგლეჯები ჩამოაფარა და ენძელას ეგონა, ბუნებას მე და ბალახებმა ვაწყენინეთო.

უცებ ისევ გაინაბნენ მისი მეზობლები და ენძელას ყური აღარ უთხოვებია მათი რატრატისთვის – დაწექი, დაწექიო.

ხედავდა, როგორ იწმენდდა ვიღაც კაცი ბალახებზე ტალახიან ფეხებს, ხედავდა და იმის შიშით, ბუნებას კიდევ არაფერი ვაწყენინოო, მაინც ყელს იღერებდა. კაცმა ტალახიანი ფეხები დაიწმინდა და წავიდა.

დაჰყურებდა ენძელა თავის ტალახიან კაბას და თავისთვის, გულში ბრაზობდა ბუნებაზე – ყველაფერი ჰო. მაგრამ ეს რა ცუდი რაღაც დაუწესებია, მოვა კაცი, ტალახიან ფეხებს ჩვენზე დაიწმენდს და ვითომც არაფერი, ისე წავაო.

მერე ისე შერცხვა თავისი ტალახიანი კაბის, რომ სირცხვილით მზეს თვალი ვეღარ გაუსწორა, თავი ჩაღუნა და დედამიწას ცნობისმოყვარე თვალებით რაღაცა უთქმელს ჩაეკითხა.

მერე ბუნებას შეეცოდა საწყალი ენძელა, ქარი ააქროლა, მზეს ღრუბლები ჩამოაფარა, მოიღუშა და იმდენი იტირა, სანამ ტალახიანი კაბა არ გაურეცხა. პირდაბანილი ენძელა იდგა და ფიქრობდა:

– რა უცნაური წესები ჰქონია ბუნებასო! მზე ჩასვლას აპირებდა. დედამიწა გახსნილ საკინძეს იბნევდა. ენძელა კი იდგა და ელოდა ბუნების უცნაურობებს იმ მოლოდინით, რა მოლოდინიც დაჰყვებათ ხოლმე ბუნებისგანვე შექმნილთ.

ელოდა ენძელა და თან თავისთვის ფიქრობდა: – რა უცნაური იქნებოდა, რომ ყვავილებად მოვსულიყავით ყველა: ცხვრებიც, ადამიანებიც, მაშინ ხომ აღარავინ მოგვგლეჯდა, ტალახიან ფეხებს არც არავინ გაიწმენდდა ჩვენზე. ვიქნებოდით გაშლილ მდელოზე მოსულნი, ნიავის ქროლაზე ვიბიბინებდით და ვიჩურჩულებდით. მერე ჩამოწოლილი ღამის შეეშინდა და თვალები დახუჭა.

დახეულ კოლგოტებს ჰყიდიან

როგორც ჩანს, მოდის სახლ Balenciaga-ს იდეების კრიზისი აქვს, ან საერთოდ, რაღაც მოხდა... ამის თქმის საფუძველს ბრენდის კიდევ ერთი შეთავაზება გვაძლევს: მოდელიერები მანდილოსნებს სთავაზობენ გამოსაყენებლად უვარგისი ნივთი – დახეული კოლგოტები იყიდონ, თანაც საკმაოდ ძვირად – 1490 დოლარად. ამასთან, მოდის სახლის გვერდზე ნათქვამია, რომ კოლგოტები იტალიაშია წარმოებული. ეს „შედევრი“ ხელმისაწვდომია ორ ფერში – შავი და ღია კრემისფერი. დიზაინერისთვის ვინმეს, რამის თქმა ხომ არ გინდათ?

ვენეციაში გონდოლიერების ვაკანსია გაჩნდა

აპენინებზე ახალ გონდოლიერებს ეძებენ. ეს იშვიათი შემთხვევაა, რადგან აქამდე, ამ სამუშაოზე მიღება მხოლოდ მემკვიდრეობით იყო შესაძლებელი. ვენეციელი მენავეების ჩვეულებრივი ხელფასი, საშუალოდ, 150 ათასი ევროა წელიწადში. იმ შემთხვევაში, თუ გონდოლიერი მღერის, ან უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე, ხელფასი კიდევ უფრო მეტი გამოსდის. წყალზე მდგარმა ქალაქმა გონდოლიერების სკოლაში მიღებაზე კონკურსი გამოაცხადა. სწავლება უფასო არ არის – მსურველს კურსის გავლა 1000 ევრო დაუჯდება, რაც ძვირია, თუმცა ამ თანხას ერთ კვირაში ამოიღებენ. გონდოლიერობის კანდიდატები უნდა ლაპარაკობდნენ იტალიურად, იყვნენ ჯანმრთელები, იცოდნენ ცურვა, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა და ვენეციის ისტორია. აღსანიშნავია, რომ სეზონზე, გონდოლით ერთი გასეირნება, შესაძლოა, ერთ ადამიანს 80-100 ევრო დაუჯდეს.

გაუწყლოებას საათი გამცნობთ

სწავლულებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან „ჭკვიანი“ საათი შექმნეს. სიახლე იმით არის უნიკალური, რომ შესაძლებლობას იძლევა, დროულად გააფრთხილოს მფლობელი ორგანიზმის პოტენციურ გაუწყლოებაზე, ან სითბურ დარტყმაზე. საათის დისპლეიზე შეგიძლიათ ნახოთ მონაცემები ორგანიზმში წყლის დონის თაობაზე, რეალური დროის რეჟიმში. ამ ინფორმაციას სპეციალური გადამცემები ითვლიან. ნორმიდან გადახრის შემთხვევაში, საათის მფლობელს მისდის შეტყობინება, რომ აუცილებელია შესვენება და წყლის ბალანსის აღდგენა. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ახალი გაჯეტი განსაკუთრებით მათთვის იქნება გამოსადეგი, რომლებიც მუდმივად ღია ცის ქვეშ მუშაობენ: მშენებლებისთვის, სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და სპორტსმენებისთვისაც კი.

„მაფიოზური“ სუვენირები აკრძალეს

სიცილიის ქალაქ აგრიჯენტოში, მაფიოზურ თემაზე სუვენირების გაყიდვა აკრძალეს. ამ გზით მერია ცდილობს, ტურისტების თვალში ქალაქის იმიჯი შეცვალოს. მიუხედავად იმისა, რომ იტალიური პოლიცია კუნძულზე აქტიურად ებრძვის ორგანიზებულ დანაშაულს, მოგზაურებში სიციალია ხშირად მაინც მხოლოდ მაფიასთან ასოცირდება. ტურისტებს იქ უამრავი ანტიკური ტაძარიც არ აინტერესებთ, რომლებიც აგრიჯენტოში იმ დროს აშენდა, როცა სიცილია ძელი საბერძნეთის ერთ-ერთი კოლონია იყო. ადგილობრივმა სამართალდამცავებმა ქალაქის სტუმრებისთვის განკუთვნილი ყველა მაღაზია „მაფიის“ თემატიკაზე არსებულ სუვენირებზე უნდა შეამოწმონ. როგორი იქნება სანქციები კანონდამრღვევებისთვის, ჯერჯერობით, უცნობია. „ასეთი პროდუქციის გაყიდვა აგრიჯენტოში ადგილობრივი თემის დამცირებაა. იქაურები წლების განმავლობაში ცდილობენ, კანონიერების კულტურის გავრცელებას, ამიტომ ვუბრძანე ნებისმიერი ნივთის გაყიდვის აკრძალვა მაფიის თემაზე“, – განაცხადა ქალაქის მერმა. სივენიერების მაღაზიების მფლობელები კი მხარს უჭერენ „მაფიოზურ“ იმიჯს, როცა ჰყიდიან ათასგვარ ნივთს მაფიოზური სიმბოლოებით. ტურისტებში განსაკუთრებით პოპულარულია მაისურები „ნათლიას“ მთავარი პერსონაჟის გამოსახულებით.

ძილის ხარისხი პოლიტიკურ შეხედულებას დაუკავშირეს

მკვლევარებმა შეისწავლეს, უკავშირდება თუ არა პოლიტიკური შეხედულებები ძილის ხარისხს. საამისოდ მათ 922 ზრდასრული არიზონელი გამოკითხეს, რომელთა საშუალო ასაკი 41-65 წელს შეადგენდა. რესპონდენტები საკუთარ თავს „რესპუბლიკელებთან“ ან „დემოკრატებთან“ აიგივებდნენ, ზოგი კი თავს „დამოუკიდებლად“ თვლიდა – ისინი აშშ-ს არცერთ წამყვან პარტიას არ უჭედნენ მხარს. ცალკე გამოკითხეს პანდემიის თემაზეც, რამდენად ძლიერად შეიცვალა მათი ცხოვრება კორონავირუსის შემდეგ. მიღებული მონაცემების გაანალიზებისას სწავლულებმა გაითვალისწინეს რეპონდენტთა ასაკი, სქესი, რასა და ჯანმრთელობის მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს „დემოკრატებად“ ან „დამოუკიდებლებად“ მიიჩნევდნენ, ძილის უფრო ცუდი ხარისხი ჰქონდათ, ვიდრე „რესპუბლიკელებს“. პანდემიის დაწყების შემდეგ, ისინი უფრო ძლიერ ცვვლილებებს შეეჯახნენ. შედეგების მიხედვით, მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანები უფრო მწვავედ აღიქვამდნენ კორონავირუსთან, ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებულ სტრესებს და სოციალურ რყევებს. „რესპუბლიკელები“ უფრო ნაკლებად შფოთავდნენ პანდემიის შედეგებზე, ნაკლებ სტრესში იყვნენ და უკეთესადაც ეძინათ. თუმცა, სწავლულები აღნიშნავენ, რომ ექსპერიმენტის მონაწილეები, შესაძლოა, გამოკითხვისას გულწრფელნი არ იყვნენ.

პაემნისთვის წყვილებს ფულს გადაუხდიან

სამხრეთ კორეაში, ქალაქ პუსანის ერთ-ერთ მუნიციპალურ რაიონში, ოჯახის შექმნის გზაზე სხვადასხვა ეტაპისთვის: პაემანზე წასვლა, მშობლების გაცნობა და სხვა, გარკვეულ თანხას გადაუხდიან. საპილოტე პროექტი პოტენციური წყვილებისთვის სტარტს „შეხვედრების დღიდან“ იღებს. ქალი და მამაკაცი, რომლებიც თანახმა იქნებიან, შეხვედრაზე 500 ათას ვონს (დაახლოებით, 360 დოლარი) მიიღებს. წყვილები, რომლებიც დაქორწინებას გადაწყვეტენ, დამატებით 20 მილიონ ვონს, „ქორწილის საჩუქრის“ სახით მიიღებენ. ახალდაქორწინებულებს, ხუთი წლის განმავლობაში, ბინის ქირის გადახდაშიც დაეხმარებიან. პროექტის მონაწილეთა ასაკი 24-დან 43 წლამდეა განსაზღვრული და ისინი პუსანის აღნიშნულ რაიონში უნდა ცხოვრობდნენ. საპილოტე პროგრამის მონაწილეთა რაოდენობა დიდი არ იქნება და მხოლოდ კორეის მოქალაქეებით შემოიფარგლება. თუმცა, მომავალში, პროგრამაში უცხოელების ჩართვასაც გეგმავენ. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კორეაში, 2020 წელს, მსოფლიოში ყველაზე დაბალი შობადობის დონე დაფიქსირდა. ხელისუფლება კი ამ პრობლემის მოგვარებას სხვადასხვა მეთოდებით ცდილობს.

მაისური რეკორდულ თანხად გაიყიდა

აუქციონზე რეკორდულ თანხად გაიყიდა მაისური, რომელიც ყველა დროის უდიდეს ბეისბოლისტს, ბეიბ რუტს ეკუთვნის. მასში 24 მილიონი დოლარი გადაიხადეს და ის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული სპორტული ნივთი გახდა, რაც კი აქამდე გაყიდულა. კერძოდ, აუქციონზე წარდგენილი იყო ის მაისური, რომელიც რუტს ბოლო ჩაწოდებისას, 1932 წელს ეცვა. ამ ნივთის ღირებულებამ ისტორიაში ყველა სპორტული რელიქვიის რეკორდი მოხსნა. შედარებისთვის: მაიკლ ჯორდანის მაისური 10.1 მილიონი ღირდა, მარადონასი კი – 9.3 მილიონი დოლარი.

ბრმას თვალი აუხილეს

იტალიაში, სრულიად უსინათლო ადამიანს მხედველობა დაუბრუნეს. ქირურგებმა პაციენტ მამაკაცს მარცხენა თვალში დარჩენილი ჯანმრთელი ქსოვილის ფრაგმენტები მარჯვენაში გადაუნერგეს. ეს ურთულესი ქირურგიული ოპერაცია მსოფლიოში პირველებმა ტურინელმა მედიკოსებმა ჩაატარეს. შედეგად, პაციენტი კვლავ თვალხილული გახდა. იტალიელი ემილიანო ბოსკა, იშვიათი ქრონიკული დაავადების გამო, 30 წლის წინ, მარცხენა თვალით დაბრმავდა. ბოლო ათი წლის განმავლობაში, მარჯვენა თვალზეც დაეწყო პრობლემები. პაციენტის გამოკვლევისას, ტურინელმა ექიმებმა გაარკვიეს, რომ მიუხედავად სიბრმავისა, მარცხენა თვალის რქოვანა და გარსი ჯანმრთელი იყო და დაასკვნეს, რომ მათი წყალობით, მარჯვენა თვალში მხედველობის დაბრუნება შესაძლებელი იქნებოდა. 83 წლის ბოსკას იმედი აღარ ჰქონდა, რომ ოდესმე კვლავ დაინახავდა, თუმცა წარმატებული ოპერაციის შემდეგ, მას სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა და გეგმებსაც აწყობს: „წავალ სათევზაოდ, საცეკვაოდ, ბოსტანში ვიმუშავებ, ბოსტნეულსა და ყვავილებს მოვიყვან“, – ამბობს ბედნიერი მოხუცი.

ცუდი ძილი ასთმის რისკს ზრდის

რეგულარული არახარისხიანი ძილი 55%-ით ზრდის ასთმის განვითარების რისკს. გენეტიკური მიდრეკილების დროსაც კი, რისკი მხოლოდ 47%-ია, – ასეთ დასკვნებს ჩინელი სწავლულები აკეთებენ. მათი კვლევები ათი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, რომელშიც 38-დან 73 წლამდე ასაკის 455 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. მონაწილეები ანკეტას ავსებდნენ და მათ გამოკვლევები უტარდებოდათ. დაკვირვებების პერიოდში, 17.8 ათას ადამიანს დაუდგინდა ასთმის დიაგნოზი – ისინი დანარჩენებზე ნაკლებგანათლებულები იყვნენ და ცუდი ძილი ჰქონდათ, იყვნენ ჭარბწონიანები და დაავადების მიმართ გენეტიკური მიდრეკილებაც აღენიშნებოდათ. სპეციალისტები ჯანმრთელ ძილში თვლიდნენ 7-9-საათიან ძილს „ტოროლას“ რეჟიმში – უძილობის, ხვრინვისა და დღისით ყოველგვარი თვლემის გარეშე. ასეთ კრიტერიუმებს კვლევაში მონაწილე მხოლოდ 73 ათასი ადამიანი აკმაყოფილებდა.

ჯიბის ქურდობას სკოლაში ასწავლიან

ინდურმა კრიმინალურმა სამყარომ ახალ დონეს მიაღწია. იქ ფასიანი ქურდების სკოლები ამოქმედდა, სადაც ბავშვებს ასწავლიან, ადამიანებს როგორ გაუსუფთავონ ჯიბეები ქორწილებში. სასწავლო პროგრამაში შედის ისეთი „საგნები“, როგორებიცაა: ჯიბის ქურდობები, ჩანთების გატაცებები, პოლიციიდან გაქცევა, ცემის გაძლება, აზარტული თამაშები და ალკოჰოლის გაყიდვა. მასწავლებლების რანგში გამოცდილი დამნაშავეები არიან. ქურდად გახდომა 12 წლიდან არის შესაძლებელი. ასეთ „სკოლაში“ სწავლების საფასური კი 2400-3600 დოლარია. სწავლება ერთი წელი გრძელდება და მოზარდებს საშუალებას აძლევს, ხუთჯერ-ექვსჯერ მეტი თანხა იშოვონ, ვიდრე სწავლაზე დახარჯეს, მათი მშობლები კი წელიწადში ბანდებისგან 3600 დოლარს მიიღებენ.

ქალის თეთრეულს მამაკაცები არეკლამებენ

ჩინეთში, ქალის თეთრეულის მაღაზიები, პირდაპირ ეთერში რეკლამისთვის მოდელ-მამაკაცებს იწვევენ, რათა მათი ჩვენებები არ დაიბლოკოს. საქმე ის არის, რომ 2016 წლიდან, ქვეყანაში გამკაცრდა აკრძალვა ქალის შიშველი სხეულის ჩვენებაზე. თუმცა, ეს ძირითადად, ტელევიზიასა და კინო-ტრანსლაციებს ეხებოდა. ბოლო დროს კი ჩინური ცენზურა ინტერნეტ-სივრცეში განთავსებულ ვიდეო-სიუჟეტებსაც აქცევს ყურადღებას და ის პირდაპირი ჩართვები, რომლებიც „დრეს-კოდს“ უგულებელყოფენ, იბლოკება. კანონდამრღვევებს, პორნოგრაფიის მუხლით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ამის გამო, ქალის თეთრეულის მაღაზიების უმრავლეობა ვიდეო-სტრიმებს მამაკაცი-მოდელების მეშვეობით ახორციელებს.

მძარცველი წიგნების სიყვარულმა დაღუპა

იტალიის დედაქალაქში მძარცველი დააკავეს, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილზე, წიგნის კითხვაში იყო გართული. 38 წლის დამნაშავე რომში, 71 წლის მამაკაცის საცხოვრებელ ბინაში შეიპარა, თუმცა ის წიგნმა შეაჩერა. სახლის პატრონის საწოლთან, ტუმბოზე ჯოვანი ნუჩის წიგნი „ღმერთები 6-ზე“ იდო, რომელმაც ქურდის ყურადღება მიიპყრო. ის სახლის აივანზე გავიდა და წიგნს იქამდე კითხულობდა, ვიდრე პოლიცია არ მივიდა. სამართალდამცავები კი სახლის მფლობელმა გამოიძახა – მას გაეღვიძა და აივანზე უცხო ადამიანის დანახვისთანავე, პოლიციაში დარეკა. მძარცველმა გაქცევა სცადა, მაგრამ ის დააკავეს. იტალიურ მედიაში ქურდს „ინტელექტუალი-მძარცველი“ შეარქვეს. წიგნის ავტორმა ნუჩიმ კი მასთან შეხვედრა მოისურვა. „ეს სიურეალისტური ისტორიაა, მაგრამ მასში ბევრი ადამიანობაა“, – აცხადებს ნუჩი, რომელიც აპირებს, კითხვის მოყვარულ დამნაშავეს საკუთარი წიგნი აჩუქოს.

მიცვალებულებს წყალში მარხავენ

ჩინეთში აქტიურად ვითარდება ზღვის სასაფლაოების ბიზნესი. მიცვალებულის სხეულს წყლის ქვეშ, ბიოხრწნადი ურნებით უშვებენ, რადგან სასაფლაოებზე, მიწის დეფიციტის გამო, ადგილები აღარ არის. სწრაფი ურბანიზაციისა და მოსახლეობის დაბერების გამო, დასაკრძალ ადგილზე ფასები ზოგჯერ 100 ათას იუანს (დაახლოებით, 15 ათასი დოლარი) აჭარბებს. უდიდეს მეგაპოლის შანხაიში, სასაფლაოებზე ადგილები 15 წელში საერთოდ აღარ იქნება. ამიტომ, ხელისუფლებამ ხალხის წახალისება დაიწყო დაკრძალვის ალტერნატიული მეთოდების ასარჩევად. 2021 წელს, ქვეყანაში კრემაციის დონემ უკვე 59% შეადგინა. ზოგიერთ რეგიონებში ფულად ჯილდოსაც კი სთავაზობენ მათ, რომლებიც ახლობლების ფერფლს ზღვაში გაფანტავს, ან მის წყალქვეშ დაკრძალვას გადაწყვეტენ.

ჭრილობის შეხორცების ელექტრომეთოდი



შვედმა სწავლულებმა, ჩალმერისის უნივერსიტეტიდან, გერმანელ კოლეგებთან ერთად, ჭრილობების შეხორცების ახალი, უნიკალური მეთოდი მოიფიქრეს ელექტროდენის საფუძველზე – ამ მეთოდმა რეგენერაციის პროცესი სამჯერ დააჩქარა. ადამიანების უმრავლესობისთვის მცირე ჭრილობები საშიში არ არის, რადგან ის თავისით, სწრაფად ხორცდება. თუმცა, არიან პაციენტები, რომლებისთვისაც, ზოგიერთი დაავადების გამო, მცირე ჭრილობაც კი საფრთხის შემცველია. პირველ რიგში, სწორედ ასეთი ადამიანებისთვის არის განკუთვნილი ახალი მეთოდი, რომელიც ელექტროსტიმულაციას იყენებს. იდეის საფუძველი ის ფაქტი გახდა, რომ კანის უჯრედები ელექტროველში, განსაზღვრული მიმართულებით გადაადგილდებიან. ცოტა ხნის წინ, მკვლევარებმა დიდი გრანტიც მიიღეს, რომელსაც კვლევების გასაგრძელებლად გამოიყენებენ, მომავლისთვის კი შექმნიან საშუალებას ჭრილობების სწრაფად შესახორცებლად, რომელიც ფართო მომხმარებელზე იქნება გათვლილი.

ბევრი ყავაც ასუქებს

თუკი ადამიანი დღის განმავლობაში ხუთ ფინჯან არომატულ სასმელს, თუნდაც უკოფეინოს მიირთმევს, მისი წონაში მომატების რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, – განაცხადეს ავსტრალიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა. სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ დღეში ხუთი ჭიქა ყავა შინაგანი ორგანოების გარშემო, ეგრეთ წოდებული, ვისცერალური ცხიმის (ცხიმის ყველაზე სახიფათო სახეობა) მოცულობას აორმაგებს. ვისცერალური ცხიმი შინაგანი ორგანოების მუშაობას აფერხებს და ისეთ პროცესებს იწვევს, რაც თავის მხრივ, სერიოზული დაავადებების მიზეზი ხდება. ყავის ნეგატიურ ეფექტს მასში ქლოროგენის მჟავის არსებობას უკავშირებენ. თუმცა, მკვლევარების თქმით, ზომიერი რაოდენობით ის სასარგებლოა და შაქრიანი დიაბეტის განვითარებას უშლის ხელს. ექსპერიმენტის ფარგლებში, მკვლევარები ლაბორატორიულ თაგვებს დღეში ხუთი ჭიქის ოდენობის ყავის ულუფებს აძლევდნენ. შედეგად დადგინდა, რომ მღრღნელებს ორჯერ უფრო მეტი ვისცერალური ცხიმი უვითარდებოდათ. მკვლევარების თქმით, ყავის სასარგებლო თვისებების თაობაზე გავრცელებული ცნობების მიუხედავად, მათ დაამტკიცეს, რომ ამ სასმელის ჭარბი რაოდენობა წონაში მომატებას იწვევს.

მიირთვით ბანანი კანიანად

ბრიტანეთის დიეტოლოგების ასოციაცია გვირჩევს, ბანანი კანიანად მივირთვათ, რადგან მასში უფრო მეტი სასარგებლო ნივთიერებებია, ვიდრე რბილობში. როგორც ბევრ სხვა ხილში, ბანანის შემთხვევაშიც, ქერქი მდიდარია უჯრედისით, კაროტენოიდებით, ლუტეინით, კალიუმით, მაგნიუმით. გარდა ამისა, მასში დიდი რაოდენობით არის ტრიპტოფანი – ნივთიერება, რომელიც აუცილებელია სეროტონინის („ბედნიერების ჰორმონის“) გამოსამუშავებლად. მოუსვლელი ბანანების კანი მაგარი და მიმწარო გემოსია, მაგრამ როცა ის ბოლომდე მომწიფდება, ქერქიც ნაზი და გემრიელი ხდება. ბევრი ადამიანისთვის ბანანის კანიანად ჭამა, ალბათ, წარმოუდგენელია, მაგრამ დიეტოლოგების რწმუნებით, ეს უბრალოდ ჩვევაა. დასაწყისისთვის, მსურველებს შეუძლიათ, მთლიანი ბანანის სმუზი მომზადონ, შეწვან კანიანად ან 10 წუთით მოხარშონ და მერე გახეხონ და ისე მიირთვან.

სხეულს ქსოვილი გააახალგაზრდავებს

საფრანგეთში, სულ მალე გამოჩნდება მაისურები და ბლუზები, რომლებიც ადამიანის სხეულს უფრო მოხდენილს გახდიან, კანს დაატენიანებენ და თან მასაჟის ფუნქციასაც შეითავსებენ. ასეთი ტანსაცმელი, ჩვეულებრივთან შედარებით, 10%-ით ძვირი ეღირება. მათ, ეგრეთ წოდებული, კოსმეტიკური ანუ „მოფიქრალი“ ქსოვილისგან შეკერავენ. ტექნოლოგია ძალიან მარტივია: მეცნიერები ქსოვილზე განათავსებენ სპეციალურ მიკროსკოპულ კაფსულებს, რომლებიც მკვებავი და კოსმეტიკური ნივთიერებებით იქნება გავსებული. კანთან ხახუნისას, ქსოვილის კაფსულები გასკდება და მთელი მისი შიგთავსი კანზე მოხვდება.

პარკინსონს წყლის ბაქტერია იწვევს?

მიკრობების ფართოდ გავრცელებული სახეობა, რომელიც ტენიან გარემოში ბინადრობს, შესაძლოა, საკვანძო როლს ასრულებდეს პარკინსონის დაავადების განვითარებაში. ისინი გამოყოფენ ნაერთებს, რომლებიც ტვინის უჯრედების შიგნით უშვებენ ცილებს და წარმოქმნიან ტოქსიკურ თრომბებს. ასეთ დასკვნებამდე ფინელი სწავლულები მივიდნენ. ჩატარებული კვლევების საფუძველზე, მათ დაადგინეს კავშირი ბაქტერიის არსებობასა და ტვინში ფიზიკურ ცვლილებებს შორის. მკვლევარები იმედოვნებენ, რომ მათი აღმოჩენა გააუმჯობესებს დაავადების ადრეულ დიაგნოსტიკას, ან სულაც შეანელებს მის პროგრესს. აღმოჩენის მიხედვით, მკურნალობის ახალი მეთოდები მიმართული უნდა იყოს საკვებ-მომნელებელ სისტემაზე და მის გარშემო არსებულ ნერვებზე და არა ტვინზე.

საძილე აბები სიგარეტივით მავნებელია

ამერიკელი სწავლულები, არიზონას უნივერსიტეტიდან, ამტკიცებენ, რომ საძილე აბები არანაკლებ საზიანოა ადამიანისთვის, ვიდრე თამბაქო. მათი თქმით, ასეთი პრეპარატების მიღება დღეში ერთი კოლოფი სიგარეტის მოწევას შეიძლება გავუთანაბროთ. რაც უფრო ხშირად იღებს ადამიანი ასეთ წამლებს, მით უფრო მეტი და მეტის მიღება სჭირდება დასაძინებლად. მკვლევარები ამ პრეპარატების ჩანაცვლებას ხანმოკლე ინტენსიური ფიზიკური დატვირთვით გვთავაზობენ. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ეს დატვირთვები სასურველ დაღლილობასა და ძილიანობას გამოიწვევს. რაც შეეხება საძილე აბებს, კვლევებით დადასტურდა, რომ ისინი ცნობიერების ამღვრევას, შენელებულ რეაქციებს და ბალანსის დარღვევას იწვევენ. ისინი მხოლოდ დასვენების ილუზიას ქმნიან, სინადვილეში, მათი მიღების შემდეგ, ძალები არ აღდგება. ნერვულ სისტემას კი ისეთი ზიანი ადგება, როგორც მოწევისას, იზრდება სიმსივნის წარმოქმნის რისკებიც.

უძვირესი ნაყინი ტრიუფელისგან

იაპონური ბრენდის, Cellato-ს ნაყინმა Byakuya-მ ახალი რეკორდი დაამყარა, როგორც მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულმა ნაყინმა. ამ ცივი ტკბილეულის ხავერდოვანი საფუძველი რძის, ორი სახის ყველის, კვერცხის გულისა და ხახვისგან არის მომზადებული, ზემოდან კი პარმეზანით, თეთრი ტრიუფელით, ტრიუფელის ცხიმითა და საკვებად ვარგისი ოქროთი არის დაფარული. უმაღლესი ხარსხის ნაყინი მსუბუქად ტკბილია, ის რთული გემოთი და მდიდრული ტექსტურით გამოირჩევა. ეს უძვირესი ტკბილეული მოხდენილ შავ ყუთშია მოთავსებული, რომელსაც მეტალის პატარა კოვზი მოჰყვება. კოვზი ხელით ნამუშევარია და ოსტატ Takeuchi-ს ეკუთვნის. დამზადებისას, ის მასალა და ტექნოლოგიაა გამოყენებული, რომელსაც ტაძრებისა და სხვა სიწმინდეების მშენებლობისას იყენებენ. უძვირესი ნაყინის ერთი პორცია – 130 მლ., 880 ათასი იენი (დაახლოებით, 6 530 დოლარი) ღირს. ტკბილეულის მწარმოებელი კომპანია გვირჩევს, ეს ნაყინი დაძველებულ თეთრ ღვინოსთან ერთად მივირთვათ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.